


# საქართველო თავმოძრა

*Handwritten text in Georgian script, possibly a signature or date, including the number 83.*



12 774 21

საქართველოს საბჭოთა მწერლების  
კავშირის ყოფილთვიური ღრგანო

10



სახელმწიფო გამომცემლობა  
თბილისი  
1938 წელი. ოქტომბერი

## ზინაარსი

### მხატვრული ლიტერატურა

	გვ.
ანდრო თევზაძე — მოგზაურის სიმღერები . . . . .	3
იოსებ ნონეშვილი — მოგონება . . . . . ნაცნობ ხეივანში . . . . .	5
ვლ. სულაბერიძე — შეხვედრა კომკავშირთან . . . . .	6
ალექო შენგელია — შორეულაღმოსავლეთური . . . . .	7
ფრანსუა რენე შატობრიანი — რენე (თარგმანი ფრანგულიდან ირ. ქავეარაძისა) . . . . .	9
გაბრიელ ჯაბუშანიური — არხვატელი შევარდენი . . . . .	37

### კრიტიკა

დიმიტრი ბენაშვილი — ნიკოლოზ ბარათაშვილი . . . . .	52
---	----

### ბიბლიოგრაფია

ა. გ. Николоз Бараташвили — стихотворения . . . . .	63
---	----

---

პ/მბ. რედაქტორის მოვალეობის დრ. აღმსრულე-  
ბელი ალ. მაზაუზვილი

პასუხისმგებელი მდივანი ნიკ. აზიაუზვილი

---

გადაეცა წარმოებას 27/X — 38 წ. ხელმოწერილია  
დასაბეჭ. 10/X — 38 წ. 4 ფორმა. ანაწყოების ზომა  
6 X 10, ქალ. ზომა 62 X 94. მთავლიტის რწმუნებუ-  
ლის № 1065. შეკვ. № 1985. ტირაჟი 6000.

---

სახელგამის პოლიგრაფკომბინატი, უორესის ქ. № 5.

მ ნ ა თ ვ რ უ ლ ი  
ღ ი ტ ე რ ა ს უ რ ე

ანდრო თევზაძე

## მოგზაურის სიძლარები

ბ ა მ გ ზ ა მ რ ე ბ ა

სადგურის ზარმა მგზავრობა გვითხრა,  
მზის ჩასვლა ღამეს ველარ აბნელებს...  
ჩვენ გვიცქეროდა თბილისი დიდხანს  
და მთაწმინდიდან ზვიქნევედა ხელებს .  
შორეულ გზაზე მივემგზავრებით  
ჩვენ საქართველოს მკვიდრი შვილები,  
რომ ვნახოთ მოძმე ხალხის ცხოვრება,  
დავბრუნდეთ მდიდარ შთაბეჭდილებით.  
გვიცქერენ მთები აწვდილნი ცაშდე,  
ჩვენზე მშობლიურ გრძნობების მქონი  
და თბილისიდან განთიადამდე  
ფეხით მოგესდევდა კავკასიონი.  
ცეცხლი და რკინა ასე მორიგდნენ:  
უნდა გადავლონ მთა და გორები.  
ყველგან ხელს გვართმევს ვაგზლის მორიგე  
და ქუდს გვიხდიან სემაფორები.

ა ზ ე რ ბ ა ი ჯ ა ნ შ ი

შორი მგზავრობა, შორი ველები,  
შაგრამ არასდროს არ იქანცები,  
სჩანს ამართული, როგორც ხელები  
ნავთის კოშკების ჯარისკაცები  
ჩქეფს მოძმე ქვეყნის დიდი ცხოვრება,

შავი ქალაქი ნავთის, ქარების,  
ბაქოს ყოველთვის ემახსოვრება  
უმანკო სისხლი კომუნარების.  
შაუშიანი და ჯაფარიძე...  
ხსოვნას საფლავი ზოგჯერ ვერ ფარავს,  
მათ შემოჰქონდათ ჯულაშვილის მზე  
აზერბაიჯანის მთებში და ბარად.  
მოგონებები მწარე და შავი,  
ო, რანაირი წლები წასულან,  
მათ დიად საქმეს შესწირეს თავი  
და დანაქადი მათი აღსრულდა.

### უ ძ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ი ღ ღ ე

ცეცხლი და რკინა როგორ მორიგდნენ  
გადაირბინეს ცხრა მთა-გორები,  
ყველგან ხელს გვართმევს ვაგზლის მორიგე,  
ქულებს გვიხდის სემაფორები...  
მატარებელი მიჰქრის და მიჰქრის,  
მგზავრი თანამგზავრს საუბრით ართობს,  
სიცილი, მღერა, ნახულზე ფიქრი  
და ტრამალები ზღვასავით ფართო.  
მანძილს სიჩქარე ადვილად მოსპობს,  
ჯერ კიდევ დღეა ჩაუქრობელი,  
ალბათ ამაღამ ვიქნებით მოსკოვს  
და გულს ჩაგვიკრავს, როგორც მშობელი.  
რამდენი განცდა გროვდება გულში,  
ჩვენი ხალისი ქვეყნის ტოლია;  
მთვარე თბილისში დავტოვეთ გუშინ,  
თურმე მოსკოვში წამოგვყოლია.

## მოგონება ნასწოვ ხაივანში

ცა გადიფარჩა ღრუბლების თალხით,  
ღრუბელს ვარსკვლავის ეჟვანი შვენის,  
დგანან ხეები და, როგორც ხალხი,  
ლაპარაკობენ ფოთლების ენით.  
ნიაფი რტოებს დაჰკოცნის ნელა,  
შემდეგ მინდვრებზე იწყებს ბორიალს.  
ხან გამომკრთალი ციციანათელა  
შენი თვალების ელვა მგონია.  
ისევ ქათქათა ხაზებით მოსჩანს  
ჩვენი სახელი ამ იფნის ხიდან  
და ილიმება შროშანა მორცხვად  
შენსავით თეთრი, შენსავით წმინდა.  
აქ ბავშვობაში ყვავილებს ვკრეფდით,  
ვუაღერსებდით დაცვარულ ფოთლებს;  
მე მახარებდნენ ვარდის კოკრები,  
მკერდზე ნელნელა რომ გეშლებოდნენ.  
შემდეგ გავყვევით ცხოვრების ტრიალს,  
შევიტკებეთ მშობელ ქვეყნის ალერსი,  
ახლა სტუდენტი გოგონა გქვიან  
და მზის ციმციმი გიდგას თვალებში.  
ჩვენმა მიზანმა ფრთები გაშალა,  
გულში რომ დიდხანს უხმოდ ყვაოდა.  
ჩამაჭრდა სისხლი და კომკავშირმა  
მოგვცა რწმენა და გამბედაობა.  
შენი თვალები მე მიტომ მიყვარს,  
მიტომ მიზიდავს ყელი ირემის,  
რომ, თუ დასჭირდა სამშობლო მიწას,  
წარბშეუხრელად შეეწირები!



## შეხვედრა კოიკავშირთან

ჩვენ ერთად გავჩნდით... ვიზრდებოდით: —

მე — მთაში სადღაც.

ის ყველგან — ერთი მზე გვათბობდა და ერთი მიწა.

ლერწმის აკვანში მე დამლოცეს არწივის ბარტყად,

ის არწივივით ქარიშხალის კალთებში იწვა.

დაჰქროდა, ედგა მუხლში ღონე ჩაუქრობელი,

ფრონტებს ეშვილა ფრთაშლილი დაბადებიდან...

და მერე, როცა აიფარჩა მთები მშობელი,

ცამდე აყრილი დაძონძილი ნაბადებითა, —

მას დიდ მუხასთან შევხვდი, თითქოს მცნობდა მანამდეც.

გადამეხვია. სიხარულის ზღვაში ვცურავდი.

მაშინ ამ მთებმაც მეტი ეშხით შემომანათეს,

მწვანე ფერდობზე მზითნახატი ზეცის სურათი.

გადამეხვია, სივაჟაკის ალით გამათბო,

და ვგრძნობდი ტოლის შეუდრეკელ გულისცემასა.

მან შემაფიცა საძმო დროშით ურიცხვ თანატოლს,

მან შემაფიცა და არწივის ფრთები შემასხა.

## შორეულ ამოსავლათურში

გუშინ მთელი დღე თოვდა ამურზე  
და ფანტელების ხვაეი დგებოდა,  
იდგა ბური და როგორც ამუნდსენ,  
ხედვა უკვალოდ იკარგებოდა.

იყო ბური და, ლამის გუშაგად  
(საზღვრის გაღმადან ლამე წვებოდა),  
იდგა შაშხანით, გულუშიშარი,  
და დანდობილი ცეცხლის მეგობარს.

ცაზე არ იყო ციციანთელა,  
მაგრამ ცის კიდურს რომ ანათებდა,  
მრავალ კილომეტრს იქით რამხელა,  
ელავდა კრემლი ათინათებად.

მზეც ვერ ათბობდა ამ ყინულეთში  
დიადი ბრწყინვით ზეცას აწვდილი,  
სითბოს ათოვდა გულში, კუნთებში,  
ბილეთი დიდი კაცის აჩრდილით...

წუხელაც თოვლი ჩამონისლულა,  
დილით ფიფქებზე იჯდა პირიმზე,  
და შორს ტაიგა დარბაისლურად,  
მხრებს იბერტყავდა ირმის ყვირილზე.

იდგა გუშაგი ისევ საზღვართან,  
იდგა გუშაგი მხოლოდ ის არა,  
თვალეებს მოაწვა ცეცხლი თანდათან  
და, თოვლისაკენ გადაიხარა.

აილო პეშვით და ფიფქის ფერი,

ლალისფერებში გაპარულიყო,

სისხლი ბრწყინავდა... სთქვა, სისხლის მღვრელი  
მტერიც ოხერი ასე კრულიყოს!



...შუალამისას სამურაების  
ურდო ეწვია თურმე მესაზღვრეს,  
ორი დაეცა, საზღვრის კარები  
ვერ დაარღვია ჯგუფმაც, — მესამემ.  
როცა ხორხოში აახშიანა,  
ჩენი ბიჭების ცხენთა თქარუნმა,  
ტყვიამ უმუხთლა, ტყვიამ ტიალმა,  
მტრის ჭანაკიდან გადმოპარულმა.  
დაეცა გმირი სამშობლოს მკერდზე  
ურდო გაიქცა, თან წარიტაცეს.  
დაჭრილი სწუხდა იმ ერთადერთზე,  
უკან დარჩენილ მშობელ მიწაზე.  
ლეგენდად დადის, ვაჟკაცს ხელიდან  
თურმე ბილეთი ველარ აართვეს,  
მტერი ბრაზობდა განახელი და,  
გმირთან ჯაღათი გააკამათეს.  
მკერდზე ამოსჭრეს ჭაბუკს ვარსკვლავი,  
თვალს ვარსკვლავების ეღვა უვლიდა,  
გული ნახეს და, ზიზღის თქმასავით,  
მტერს შეანთხია სისხლი გულიდან.  
მოკვდა ვაჟკაცი... (რამ განაშოროს  
სიყვარული და თავგამთეება,  
ო, ეს სიკვდილი დედა-სამშობლოს  
მკერდზე სიცოცხლედ კვლავ აენთება.  
წავა თქმულემა წლების სავალზე,  
გმირობის ხოტბად და ფიანდაზად, —  
ისე მართალი და მისაბაძი,  
როგორც ქართული თქმა და ანდაზა.

## რ ე ნ ე

უდიდესი პროლეტარული მწერლის მაქსიმ გორკის რედაქტორობით გამოვიდა რომანების სერია მე-19 საუკუნის ახალგაზრდა ადამიანის შესახებ.

„მე-19 საუკუნის რომელ ახალგაზრდა ადამიანზეა ლაპარაკი და ჩვენი ახალგაზრდობა რატომ უნდა გაეცნოს მის ისტორიას?“ ჰკითხულობს მაქსიმ გორკი ამ რომანების კრებულში მოთავსებულ წინასიტყვაობაში და თვითონვე უპასუხებს: „ეს ახალგაზრდა ადამიანი მე-19 საუკუნის ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი ფიგურაა. ის მეოცე საუკუნეშიც არ მოსპობილა, ის ამჟამადაც არსებობს, ამიტომ სავესებით დროულია გაშუქდეს მისი წარმოშობის ისტორია და მნიშვნელობა ცხოვრებაში. მართებულა დაფიქრდეთ, იმაზე, თუ როგორია მისი როლი ჩვენს ქვეყანაში, სადაც შენდება მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო“.

ქვემოთ ვათავსებთ ხსენებულ სერიიდან ერთ-ერთ რომანს „რენეს“, რომელიც ეკუთვნის მე-19 საუკუნის გამოჩენილ ფრანგ მწერალს ფრანსუა რენე შატობრიანს (1768—1848).

რენე რომ ნატჩესებთან შივიდა, ინდიელების ზნე-ჩვეულების თანახმად, იძულებული გახდა ცოლი შეერთო. მაგრამ მასთან სრულიად არ სცხოვრობდა. სევდით შეპყრობილ რენეს ტყის გული იზიდავდა, მთელ დღეებს იქ ატარებდა მარტოობაში და ველურთა შორის ველურად სჩანდა. მხოლოდ თავის მამობილს შაქტასსა<sup>1)</sup> და ციხე როზალის<sup>2)</sup> მისიონერს მამა სუელს ხვდებოდა, სხვებთან ყოველგვარი ურთიერთობა შესწყვიტა. ამ ორმა მოხუცმა მისი გული დაიმორჩილა: პირველმა ალერსიანი, ამყოლი ხასიათით, მეორემ—პირიქით, უკიდურესი სიმკაცრით. წავზე ნადირობის შემდეგ, როდესაც ბრმა საშემმა<sup>3)</sup> რენეს თავისი თავგადასავალი უამ-

1) ჰარმონიული ხმა.

2) ფრანგთა ახალშენი ნატჩესებში.

3) მოხუცი ან მრჩველი.

ბო, რენემ აღარ ისურვა თავის წარსულზე რაიმე ეთქვა. შაქტასი და მისიონერი კი ძალიან მონდომებული იყვნენ გაეგოთ, თუ რა უბედურმა შემთხვევამ მიიყვანა ეს კეთილშობილი ევროპელი ამ უცნაურ გარდაწყვეტილებამდე — ლუზიანის უდაბნოში გადმოკარგულიყო. რენე მათ არწმუნებდა, ჩემი ამბავი მაინცდამაინც საინტერესო არ არისო, ის ჩემს ფიქრებსა და გრძნობებს ეხებაო.

— სამუდამო დავიწყებას უნდა მივსცე ის შემთხვევა, რომელმაც ამერიკაში ჩამოსვლა მაიძულა, — დაუმატებდა.

რამდენიმე წელმა განვლო ასე და ამ მოხუცებმა მისი საიდუმლოს გაგება ვერ მოახერხეს. უცხოეთის მისიების ბიუროს საშუალებით ევროპიდან მიღებულმა წერილმა იმდენად გაუორკეცა რენეს მწუხარება, რომ ის თავის მოხუც მეგობრებსაც გაუბოლდა. ისინი კი უფრო მეტი გულმოდგინებით სცდილობდნენ, რენეს მათთვის გული გადაეშალა. მთელი თავისი გავლენით ისარგებლეს, ისეთი მოკრძალებითა და სინაზით მიუდგნენ, რომ რენე დაითანხმეს. დანიშნეს დღე, თუ როდის ეამბნა რენეს არა თავისი თავგადასავალი, რადგან მას არაფერი ღირსშესანიშნავი არ შემთხვევია არამედ თავისი სულიერი განცდები.

იმ თვის ოცდაერთს, რომელსაც ველურები ყვავილთა მთვარეს ეძახიან, რენე შაქტასის ქოხში მივიდა. საშემს ხელი მოჰკიდა და დაფნის ხის ქვეშ, მდინარე მეშასებეს<sup>1)</sup> ნაპირთან მიიყვანა. მანა სუელიც დაუგვიანებლად გამოცხადდა პაემანზე. რიჟრაჟდებოდა. ცოტა მოშორებით, ვაკეში თუთის ხეების ქალაში მოსჩანდა ნატჩესების სოფელი ფუტკრის გეჯების მსგავსი ქოხებით. ფრანგთა ახალშენი და როზალის ციხე მარჯვნივ იყო, მდინარის ნაპირას. კარვები, ნახევრად აშენებული სახლები, დაწყებული მშენებლობა სიმაგრეებისა, ზანგებით მოფენილი დახული ყამირი, ინდიელთა და თეთრების ჯგუფები — წარმოდგენდნენ კულტურულ და ველურ ხალხთა ზნე-ჩვეულებების კონტრასტს. აღმოსავლეთისკენ, ცის დასალიერჯ მზე ამოდიოდა აპალაშის<sup>2)</sup> მთების მიმოფანტულ მწვერვალებიდან, რომლებიც ცის მოოქრულ მალალ თალზე ანბანის ლაჟვარდ ასოებსავით მოსჩანდნენ; დასავლეთით საუცხოო დუმილში მეშასებე ტალღებს მიაგორებდა და იმიუწვდომელი სიდიადით სურათს არშიად ევლებოდა. ახალგაზრდა და მისიონერი ამ მშვენიერი სანახაობით სტკბებოდნენ ცოტა ხანს, თან ამ სიამოვნებას მოკლებული საშემი ებრალებოდათ. მერმე სუელი და

1) მდინარე მისისიპი ანუ მეშასიპი.

2) აპალაშის მთები ჩრდილო ამერიკაშია.

შაქტასი ხის ძირში დასხდნენ, მოლზე; რენე მათ შორის მოეწყობა და მცირე დუმილის შემდეგ თავის მოხუც მეგობრებს ეს უამბო:

„ჩემს ამბავს რომ ვიწყებ, სირცხვილს თავს ველარ ვაღწევ. დარბაისელნო მოხუცნო, ჩემი სულის შფოთვა-მღელვარება მაწითლებს, თქვენი გულის სიმშვიდესა და ჩემს გარშემო გამეფებულ სიწყნარეს რომ ვხედავ.

„როგორ შეგებრალებით! ჩემი დაუსრულებელი წუხილი რა უბადრუკობად მოგეჩვენებათ! რას იფიქრებთ თქვენ — ცხოვრებაში ყოველგვარი მწუხარების გამონაცადნი ძალა-გამოღებულ, სათნოება-მოკლებულ ახალგაზრდაზე, რომელიც სატანჯველს თავის არსებაში პოულობს და იმ უბედურებაზე სჩივის მხოლოდ, რომელსაც თავისთავს თვითონვე აყენებს? ეჰ! ნუ დაზრახავთ, ის საკმაოდ დასჯილია!

„ჩემი ქვეყნად გაჩენა დედაჩემს სიცოცხლის ფასად დაუჯდა. დედის მუცლიდან რკინით გამომიღეს. მყავდა ძმა, რომელიც მამაჩემმა, როგორც უფროსი ვაჟი დალოცა, მე კი ბავშვობიდანვე სხვის ოჯახში გამაბარა; მამის კერას მოშორებული აღვიზარდე.

„შფოთიანი დაუდგრომელი ხასიათისა ვიყავი. ხან ვხმაურობდი, ვმხიარულობდი, ხან მივწყნარდებოდი, მოვიწყენდი; ირგვლივ ჩემს ტოლამხანაგებს შემოვიკრებდი; მერე მათ უეცრად გავეცლებოდი, განმარტოებით ვჯდებოდი, რომ ღრუბლების მოძრაობისთვის შეცქირა, ან ყური დამეგდო, ფოთლებს წვიმა რომ ეცემოდა.

„ყოველ შემოდგომაზე მამის სასახლეში ვბრუნდებოდი, რომელიც შუაგულ ტყეში, ზბის მახლობლად იყო მოთავსებული, შორეულ პროვინციაში. მამაჩემთან მოკრძალებული, თავდაჭერილი ვიყავი. სიხარულსა და კმაყოფილებას მხოლოდ ჩემი დის ამელის სიახლოვე მანიჭებდა. დასთან მჭიდროდ მაკავშირებდა ჩვენი ხასიათისა და გემოვნების საამური ერთნაირობა. ამელი ჩემზე ოდნავ უფროსი იყო. გვიყვარდა ბორცვებზე ერთად არბენა. ტბაზე ნავით სეირნობა, ტყეში ხეტიალი, როდესაც ხეებს ფოთლები სცივივოდა: ახლაც სიამით აქსებს ჩემს სულს ამ სეირნობის მოგონება. ეჰ. ბავშვობისა და სამშობლოს ზმანება, არასოდეს ჰკარგავთ თქვენს სიტკბობას!

„ხან ჩემად დავდიოდით და ყურს ვუვადებდით შემოდგომის ყრულმუილს, ხმელ ფოთოლთა შრიალს, ფეხქვეშ რომ სეკდიანად ვთელავდით. უმანკო თამაშობაში გართულნი ხან ველზე მერცხალს დავსდევდით. ხან წვიმაში ბორცვებზე (ვისარტყელას გამოაჟღერებოდა). ხან ბუნების მშვენიერებით მოხიბლულნი ლექსებს ჩავარაკრავდით. სიყმაწვილეში ლექსებს ვწერდი. რა შეედრება თქვენს-



შეტი წლის ჭაბუკის გულის პოეტურობასა და ვნებათა სიხალისეს. ცხოვრების გარიჟრაჟი დილასავით ნათელია, სახოვანი და ჰარმონიული.

„კვირა და უქმე დღეებში ხშირად მესმოდა ტყეში, ხეებ-შორის შორეული ზარის რეკა, რომელიც მიწის მუშას ტაძრისაკენ უხმობდა. ახალგაზრდა თელას მიყრდნობილი, ყურს ვუგდებდი დუმილში მოკრძალებულ გუგუნს. ზარის ყოველი თრთოლვა ჩემს გულუბრყვილო სულს ავსებდა სოფლის ზნე-ჩვეულებათა უმანკობით, მარტოობის სიმშვიდით, სარწმუნოების მომხიბვლელიობითა და ჩემი ბავშვობის პირველი ხანის მოგონებათა დამატკობელი მელანქოლიით. ოჰ, ვისი გული, რა ცუდიც არ უნდა იყოს, არ აძგერებულა სამშობლო კუთხის ზართა ხმის გაგონებაზე, ზარების, რომლებიც სიხარულით თრთოდნენ მის აკვანზე და რომლებმაც ამცნეს ქვეყანას მისი გაჩენა, აღნიშნეს მისი პირველი გულისცემა, აუწყეს გარშემო ყველას მამის ზეიმი, დედის ტანჯვა და კიდევ უფრო გამოუთქმელი სიხარული! ყველაფერი ეს მომხიბვლელ ოცნებაშია, საითკენაც მშობლიური ზარის გუგუნე გვიტაცებს: სარწმუნოება, ოჯახი, სამშობლო, აკვანი და საფლავი, წარსული და მომავალი.

„მართალია ამ მძიმე და ნაზი ფიქრებით ყველაზე უფრო მე და ამელი ვსტკებობდით, რადგან ჩვენ ორივეს პატარა სევდა გვქონდა გულის სიღრმეში: ეს ჩვენ, ალბათ, ან ღვთისაგან ან დედისაგან დაგვყვა.

„მამაჩემი ავად გახდა და რამდენიმე დღეში სიცოცხლეს გამოესალმა. ჩემს ხელში დალია სული. და მე სიკვდილი იმის ტუჩებზე გავიცან, ვინც სიცოცხლე მომანიჭა. მამის გარდაცვალებამ ჩემზე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ თავი ამისგან ჯერაც ვერ დამიღწევია. მაშინ პირველად წარმომიდგა თვალწინ ნათლად ხულის უკვდავება. ვერ დავრწმუნებულებიყავ, რომ ამ ფიქრის აღმძვრელი ჩემში ეს უსულო გვამი იყო. ვიგრძენი, რომ ეს ფიქრი სხვა მხრიდან უნდა მწვევოდა. სიხარულის მსგავსი, წმინდა სევდით შეპყრობილი სასოებით ავივსე, რომ ერთ დღეს მამაჩემის სულს შევუერთდებოდი.

„ეს მაღალი აზრი სხვა საოცარმა მოვლენამაც დამიდასტურა. მამის სახემ რალაც დიადი იერი მიიღო. ნუთუ ეს გამოუცნობი საიდუმლოება ჩვენი უკვდავების ნიშანი არ არის? ყოვლისმცოდნე სიკვდილი რატომ ვერ აღბეჭდავდა თავის მსხვერპლის შუბლზე სხვა სამყაროს საიდუმლოებას? რატომ ვერ მოხდებოდა საფლავში უკვდავების დიდი ხილვა?

„მწუხარებით შეპყრობილი ამელი კოშკში ჩაიკეტა, სადაც გუთური სასახლის კამარათა ქვეშ ესმოდა მღვდლების გალობა გასვენებაზე და ზარის სამგლოვიარო რეკა.

„უკანასკნელ თავშესაფარამდე მივაცილე მამაჩემი. მისი ნეშტი მიწამ გულში ჩაიკრა; მთელი სიმძიმით დააწვა მას თავზე უკვდავება და მივიწყება: საღამომაც კი გულგრილად ჩაუარა მამის სამარეს, თითქოს მას არასოდეს არ ეცხოვროს. ეს ყველასთვის ასე იყო, გარდა მისი ქალვაჟისა.

„უნდა გავსცლოდი მამის სახლკარს, რომელიც მემკვიდრეობით ჩემმა ძმამ ჩაიბარა. მე და ამელი ჩვენს მოხუც ნათესავებთან გადავედი.

„ცხოვრების მატყუარა გზებს მივადექ. ვფიქრობდი, რომელს გავყოლოდი, მაგრამ ვერცერთი ვერ ამომერჩია. ამელი ხშირად მონასტრის ცხოვრების ბედნიერებით გამიტაცებდა; მეუბნებოდა, ამ ქვეყანას მხოლოდ შენ მაკავშირებო, და სევდიან თვალებს მომაპყრობდა.

„ამ ღვთისმოსაში საუბრით აღელვებული ხშირად გავსწევდი მონასტრისაკენ, რომელიც ჩემი ახალი ბინის მეზობლად მდებარეობდა. ერთხელ კინალამ გადავწყვიტე იქ ჩამეკეტა ჩემი ცხოვრება. ბედნიერნი არიან ისინი, რომლებმაც მგზავრობა ნავთსადგურიდან გაუსვლელად დაასრულეს და დედამიწაზე უსარგებლო დღეები ჩემსავით არ გაუტარებიათ.

„მუდამ მოუსვენარი ევროპელები იძულებული არიან მყუდროება შეიქმნან. რამდენადაც ჩვენი გული შფოთვა-მღელვარებას მოუცავს, იმდენად უფრო გვიზიდავს წყნარი და მშვიდი ცხოვრება. ჩემს ქვეყანაში უბედურთა და სუსტათვის გახსნილ ხანაგებს ხშირად მინდვრებში მალავენ, რომლებიც უბედურების სიმწვავეს ანელებენ და თავის შეფარების იმედს იძლევიან. სავანებს ხშირად მთაადგილებშიც შეხედებით, სადაც ზვთისმოსაში სული მთის მცენარესავით თითქოს ცისკენ ისწრაფვის, რომ იქ თავისი სურნელება მოაფრქვიოს.

„ახლაც თვალწინ მიდვას იმ ძველი მონასტრის წყალთა და ტყეთა დიდებული თაიგული, სადაც, ვფიქრობდი, ჩემი ცხოვრება ბედუკუდმართობისაგან დამეფარა. თითქოს ახლაც დავხეტები საღამოს პირად ამ განმარტოებულ და მოგუგუნე მონასტერში. როდესაც მთვარე თაღების სვეტებს ნახევრამდე გააშუქებდა და მათი ჩრდილი პირდაპირ კედელზე იხატებოდა, შევიჩრდებოდი და ვუმზერდი ჯვარს, რომელიც სიკვდილის სამფლობელოს აღნიშნავდა, და სამარის ლოდებ-შუა ამოსულ მაღალ ბალახს. ოჰ, ადამიანებო,



რომელთაც საზოგადოების გარეშე გიცხოვრიათ და ცხოვრების სიმშვიდიდან სიკვდილის სიმშვიდეში გადასულხართ, რა ზიზლით არ ავსებდა მიწისადმი ჩემს გულს თქვენი საფლავები!

„არ ვიცი იმის გამო, რომ დაუდგრომელი ხასიათი დამყვა, თუ მონასტრის ცხოვრებისადმი წინასწარვე უარყოფითად ვიყავ განწყობილი, განზრახვა შევიცვალე და მოგზაურობა გადაწყვიტე. დას გამოვემშვიდობე. თითქოს ჩემი განშორებით კმაყოფილმა, გახარებულმა ჩამიკრა გულში. ჩემდა უნებურად გამიელვა მწარე ფიქრმა მეგობრობის წარმავლობაზე.

„მაგრამ აღზნებული მარტო გადავემვი ცხოვრების მშფოთვარე ოკეანეში, რომლის არც ნავთსადგურებისა, არც ბრაგისა არაფერი ვიცოდი. ჯერ ვეწვიე იმ ხალხებს, რომლებიც აღარ არსებობენ: ვიჯექი რომისა და საბერძნეთის ნანგრევებზე, ვინახულე იშვიათი წარსულის ქვეყანა, სადაც სასახლეები მტვერშია ჩამარხული და მეფეთა მავზოლეუმი ეკალ-მაყვალს დაუფარავს. ბუნების სიძლიერე და ადამიანის სისუსტე! ხშირად ბალახის ღერო ხვრეტს ამ საფლავების უშმაგრესს მარმარილოს, რომელსაც ეს მიცვალებულნი, ოდესღაც ძლიერნი, ვერასოდეს ასწევენ!

„ზოგჯერ უდაბნოში განმარტოებით გამოჩნდებოდა მაღალი სვეტი, მსგავსად დიდი ფიქრისა, რომელიც ხანდახან დროისა და უბედურებით განადგურებულ სულში აღიმართება ხოლმე.

„ყოველ წუთსა და ყოველგვარ პირობებში ამ ძეგლებზე ვფიქრობდი. ხან ჩემს თვალწინ ამ ქალაქების საძირკველის ჩაყრის მოწამე მზე დიდებულად ეშვებოდა მათ ნანგრევებზე; ხან ორ გატეხილ ფერფლიან ლარნაკ-შუა, მოწმენდილ ცაზე მთვარე ამოდიოდა და ფერდაკარგულ აკლდამებს მიშუქებდა. და ხშირად ოცნების აღმძვრელ ამ მნათობის სხივებქვეშ ასე მეგონა, თითქოს ვხედავდი ჩემს გვერდით მჯდომ, ჩაფიქრებულს მოგონებათა სულს.

„მაგრამ კუბოების ჩხრეკამ დამლალა, რომლებშიც უფრო ხშირად ცოდვილ მტვერს ვქექავდი.

„და ვისურვე გამეგო ამჟამად არსებული ერები რას შემომთავაზებდნენ — უფრო მეტ სათნოებასა თუ ნაკლებ უბედურებას. ერთხელ, როდესაც დიდ ქალაქში სეირნობის დროს, ერთი სასახლის უკან ჩავიარე, განცალკევებულ, მიტოვებულ ეზოში ქანდაკება შევნიშნე, რომელსაც თითი მსხვერპლით ცნობილ ადგილისკენ გაეშვირა<sup>1)</sup>. ამ მიდამოს მდუმარებამ გამაოცა; ამ ტრაგიკულ მარ-

<sup>1)</sup> ლონდონში, უაიტ ხოლის უკან, ინგლისის რევოლუციური აზნაურობის მიერ დასჯილი კარლოს I-ის ძეგლი.

მარილოს გარშემო მხოლოდ ქარის კენესა ისმოდა. მუშები ქანდაკების კვარცხლბეკთან გულგრილად იწვნენ; ან ქვებს თლიდნენ; და თან სტვენდნენ. მათ შევეკითხე, ეს ძეგლი რას აღნიშნავსმეთქი: ზოგიერთებმა ძლივს შესძლეს პასუხის მოცემა, სხვებმა კი არაფერი იცოდნენ იმ მარცხზე, რომელსაც ეს ძეგლი გამოხატავდა. არაფერს მოუცია ჩემთვის ამაზე უფრო ზუსტი საზომი ჩვენი ცხოვრების არარაობისა. რა მოუვიდა იმ პირებს, რომლებმაც ამდენი აურზაური ასტეხეს? დრომ ნაბიჯი გადადგა; და დედამიწის პირი გაჩახლებულია.

„ჩემი მოგზაურობის დროს განსაკუთრებით მე დავეძებდი ხელოვანთ, ღვთაებრივ ადამიანებს, რომლებიც ქნარზე ღმერთს აღიდეგენ და იმ ხალხთა ნეტარებას უმღერიან, რომელნიც კანონებს, სარწმუნოებასა და საფლავებს პატივსა სცემენ.

„ეს მგალობელნი ღვთის ხალხია, მათ მხოლოდ ეს უდავო ნიჭი აქვთ, რომლითაც ცას დედამიწა დაუჯილდოვებია. მათი ცხოვრება ერთსა და იმავე დროს გულუბრყვილოცაა და დიადიც. ისინი ოქროს პირით აღიდეგენ ღმერთს და მეტად უბრალო ადამიანები არიან. საუბრობენ, როგორც უკვდავნი, ან როგორც პატარა ბავშვები; ისინი სამყაროს კანონებს ხსნიან და ცხოვრების მეტად უბრალო საქმის გაგება კი არ შეუძლიათ. საუცხოო წარმოდგენა აქვთ სიკვდილზე, მაგრამ მას ვერც კი ამჩნევენ, ისე კვდიან ახალშობილივით.

„კალედონის<sup>2)</sup> მთებში უკანასკნელმა ბარდმა, რომელსაც ამ უდაბნოებში უსმენდნენ, მიმღერა პოემები; გმირი ოდესღაც ამ პოემებში პოულობდა თავის სიბერის ნუგეშს. ხავსით დაფარულ ოთხ ქვაზე ვიჯექით; ჩვენს ფეხებთან ნიაღვარი მიჩხრიალებდა; რამდენიმე ნაბიჯზე კოშკის ნანგრევებში გარეული თხა სძოვდა. კონას ველის მანანას ზღვის ქარი დასტვენდა. ახლა ქრისტიანულმა სარწმუნოებამ — მაღალი მთების ასულმა მორვენის გმირთა ძეგლებზე აღმართა ჯვრები და დავითის ქნარს შეეხო იმავე ნიაღვრის ნაპირზე, სადაც ოსიანი თავის ქნარს აკვნესებდა. ეს რელიგია იმდენად მშვიდობიანია, რამდენადაც სელმის ღვთაებანი მებრძოლნი იყვნენ. მწყესავენ ფარას იქ, სადაც ფინგალი ბრძოლებს მართავდა, ქრისტიანობამ მშვიდობიანობის ანგელოზები მოჰფინა იმ ღრუბლებში, სადაც ადამიანთა ამომქლეტი აჩრდილები ბუდობდნენ.

<sup>2)</sup> კალედონი — ეკოსი, დიდი ბრიტანეთის ჩრდილოეთის ნაწილის ძველი სახელი.

„ძველმა და მომლიმარმა იტალიამ შედეგების ლაშქარი დამახვედრა, როგორი წმინდა და პოეტური შიშით შეპყრობილი დავეხეტებოდი ამ უზარმაზარ შენობებში, რომლებიც ხელოვნებაში სარწმუნოებას მიუძღვნა! რა თანამიმდევრობაა კამარა-თაღებისა! რა მშვენიერი ხმაურობა ისმის გუმბათების გარშემო, ის გაგონებს ოკეანის ტალღების გუგუნს, ქარის შრიალს ტყეში, ან ღვთის ხმას ტაძარში! არქიტექტორმა, ასე ვთქვათ, პოეტის იდეებს ხორცი შეასხა, გრძნობათათვის მისაწვდომი გახადა.

„მაგრამ ამ ხნის განმავლობაში, ასეთი დაღლის შედეგად რა შევისწავლე? ვერაფერი გარკვეული ძველთაგან და ვერაფერი მშვენიერი თანამედროვეთაგან. წარსული და აწმყო ორი დაუსრულებელი ქანდაკებაა: ერთი სრულიად დამახინჯებული ამოღებულ იქნა საუკუნეთა ნანგრევებიდან, მეორეს ჯერ კიდევ არ მიუღია მომავლის სრულყოფილი სახე.

„ჩემო მოხუცო მეგობრებო, შეიძლება თქვენ, უდაბნოს მცხოვრებთ, განსაკუთრებით გიკვიროთ, რომ ჩემი მოგზაურობის ამბავში მე არც ერთხელ არ მიხსენებია ბუნების შესანიშნავი ძეგლები.

„ერთ დღეს ვულკან ეტნის, რომელიც კუნძულის შუაგულში იწვის, მწვერვალზე ავედი. უსაზღვრო ცის დასალიერს, ჩემს ქვემოდ, დავინახე, მზე ამოდიოდა, სიცილია ჩემს ფეხებთან მოკუმ-შულიყო წერტილის ოდენად და თვალუწვდენელ სივრცეზე ზღვა გადაშლილიყო. ამ სურათს მაღლიდან რომ დავსცქეროდი, მდინარეები რუკაზე აღნიშნულ გეოგრაფიულ ხაზებად მეჩვენებოდა; მაგრამ ერთი მხრით ჩემი თვალი ამ საგნებს რომ სწვდებოდა, მეორე მხრით ეტნას კრატერში ვიციქირებოდი და მის ანთებულ შიგნეულს შავი ორთქლის ბოლქვებში ვარჩევდი.

„ვულკანის პირთან მჯდომი, ვნებით შეპყრობილი ახალგაზრდა, მომაკვდავთა ბედზე მტირალი, რომელთა ბინებს სადღაც ქვემოდ ძლივს ხედავდა, ოი მოხუცნო, რასაკვირველია, მხოლოდ თქვენი სიბრალულის ღირსია; მაგრამ, რაც არ უნდა იფიქროთ რენეზე, ეს სურათი სრულ წარმოდგენას გაძლევსთ მის ხასიათსა და ცხოვრებაზე: მთელი სიცოცხლის მანძილზე ასე მიდგა თვალწინ ქმნილება ერთსა და იმავე დროს უზარმაზარი და მოუხელებელი, იქვე ჩემს გვერდით კი პირდაღებული უფსკრული“.

უკანასკნელი სიტყვები რომ წარმოსთქვა, რენე დადუმდა და ფიქრებს მიეცა. მამა სუელი გაკვირვებით შესცქეროდა; მოხუც ბრმა საშემს კი, რომელსაც ახალგაზრდა კაცის ლაპარაკი აღარ ესმოდა, არ იცოდა რა ეფიქრა ამ სიჩუმეზე.



ვაკეში მხიარულად მიმავალ ინდიელთა ჯგუფისთვის მიეპყრო რენეს თვალები. მისმა სახემ ანაზღათ ნაზი გამომეტყველება მიიღო, თვალებს ცრემლები დაედინა, და წამოიძახა:

„ბედნიერო ველურნო! ოჰ! რატომ მეც არ შემიძლია დავსტკბე იმ სიმშვიდით, რომელიც თქვენი განუყრელი თანამგზავრია. იმ დროს, როდესაც მე ასე უსარგებლოდ ამდენი ქვეყანა შემოვიარე, თქვენ, მუხებ-ქვეშ მშვიდად მსხდომნი, ყურადღებას არც კი აქცევდით, როგორ ილეოდნენ თავის ნებაზე მიშვებული დღეები.

„თქვენი გონება მხოლოდ საკუთარ საჭიროებაზე ფიქრით ისაზღვრებოდა, და სიბრძნეს უფრო სწვდებოდით, ბავშვივით ძილსა და თამაშში, ვიდრე მე. თუ ზოგჯერ თქვენს სულს უზომო ბედნიერებით წარმოშობილი სევდა შეეხებოდა, ამ წარმავალ მოწყენილობას თავს მალე აღწევდით. ცისკენ აღმართული, სინაზით სავსე თქვენი თვალები დაეძებენ, არ ვიცი რაღაც უცნობს, რომელიც საწყალ ველურს სიბრალულით ეპყრობა“.


რენეს ხმა აქ ხელახლა მისწყდა და ახალგაზრდამ თავი ჩაქინდრა. შაქტასმა სიბნელეში, ხელის ფათურით თავის შვილის მკლავი მოსძებნა და აღელვებული ხმით მიაძახა:

„ჩემო შვილო! ჩემო ძვირფასო შვილო!“ ამ მიმართვამ ამელის ძმა გამოარკვია. რენეს თავის აღელვებისა შერცხვა და მამას პატიება სთხოვა.

მოხუცმა ველურმა განაგრძო:

„ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, შენი გულის პატრონს არ შეიძლება მუდამ ერთნაირი განცდები ჰქონდეს; მაგრამ შენი ხასიათი უნდა დაიმორჩილო; მან უკვე ამდენი ბოროტება მოგაყენა: თუ ცხოვრების მოვლენებისგან შენ უფრო იტანჯები, ვიდრე სხვა, ეს არ უნდა გაგვიკვირდეს. დიდმა სულმა უფრო მეტი ტკივილები უნდა გადაიტანოს, ვიდრე პატარამ. განაგრძე ამბავი. შენ ევროპის ერთი ნაწილი მოგვატარე, ახლა შენი სამშობლოც გაგვაცან. ხომ იცი, რომ საფრანგეთი მინახავს და მასთან რა ძაფები მაკავშირებს; ძალიან მესიამოვნებოდა ამბის მოსმენა იმ დიდ ბელადზე<sup>1)</sup>, რომელიც ამ ქვეყნად აღარ არის და რომლის ბრწყინვალე ქობში ვყოფილვარ. ჩემო შვილო, მე მხოლოდ წარსულის მოგონებით ვცოცხლობ. მოხუცი თავის მოგონებებით ჰგავს ჩვენი ტყეების დაჩაჩანაკებულ მუხას: ეს მუხა საკუთარი სიმწვანით ველარ ირთვება, მაგრამ ზოგჯერ თავის სიტუტვლეს ფარავს უცხო მცენარეებით, რომლებიც მის ძველ ტოტებზე ამოსულან“.

<sup>1)</sup> ლუი მე-14



ამ სიტყვებით დამშვიდებულმა ამელის ძმამ თავისი გულის ამბავი ასე განაგრძო:

„ეჰ! მამაჩემო, ამ დიდი საუკუნის შესახებ ვერაფრის მოყოლას ვერ შევსძლებ, ჩემს ბავშვობაში მხოლოდ მის ბოლოს მოვუსწარ და როდესაც მოგზაურობიდან დავბრუნდი, უკვე აღარ იყო. არასოდეს ასეთი საოცარი და მოულოდნელი ცვლილება არც ერთ ხალხს არ განუცდია. ნიჭის სიმაღლე, სარწმუნოების პატივისცემა, ზნე-ჩვეულებათა სიმტკიცე უეცრად გაიძვერობამ და ურჯულოება-გარყვნილებამ შესცვალა.

„იმედი მქონდა, რომ ისევ სამშობლოში ვპოვებდი ჩემი მოუხვენრობის, დაუცხრომელი, განუშორებელი სურვილის დასაწყნარებელ წამალს, მაგრამ მოვტყუვდი. ქვეყნების შესწავლამ ვერაფერი შემძინა და უცოდინარობის სიტკბოება კი დამაკარგვინა.

„ამელის უცნაური საქციელი ვერ ამეხსნა, მას ჩემი სევდის გაძლიერება თითქოს სიამოვნებას ჰგვრიდა. რამდენიმე დღით ადრე ჩემს ჩასვლამდე, პარიზი მიატოვა. მივწერე, რომ მასთან შეხვედრა მსურდა; პასუხი არ დააყოვნა, ამ სურვილზე ხელი აიღეო, რადგან არ ვიცი ჩემი საქმეების გამო საით მომიწევს გამგზავრებაო. რამწარე აზრები არ გამოვთქვი მაშინ მეგობრობაზე, რომელსაც ერთად ყოფნა ასუსტებს, დაშორება კი აქარწყლებს, მეგობრობაზე, რომელიც სრულიად ვერც უბედურებას და მით უფრო ნაკლებად კეთილდღეობას ვერ უძლებს.

„მაღე სამშობლოში უფრო გარიყული აღმოვჩნდი. ვიდრე უცხოეთში. გადავწყვიტე, რამდენიმე ხნით ისეთ მზარეში გარდავხვეწილიყავი, რომელიც ვერც ვერაფეს მეტყოდა, ვერც ჩემსას გაიგებდა. ვნებისაგან სრულიად ხელშეუხებელი ჩემი სული ეძებდა არსებას, რომელთანაც შეთვისებას შესძლებდა; მაგრამ შევნიშნე, რომ მას მეტს ვაძლევდი, ვიდრე ვღებულობდი. ჩემგან არც მაღალ საუბარს, არც ღრმა გრძნობას არ ითხოვდნენ, ჩემ ცხოვრებას ვზღუდავდი, და საზოგადოების დონემდე დამყავდა, არაფერს ვაკეთებდი. მეოცნებე ადამიანად მთვლიდნენ ყველგან და ჩემი მდგომარეობისა მრცხვენოდა. სულ უფროდაუფრო მბეზრდებოდა ნივთები და ადამიანები; გადავწყვიტე გარეუბანში გადავსახლებულიყავ და იქ მეცხოვრა ვინაობის გამოუმეღავენებლად.

„პირველად საკმაოდ მსიამოვნებდა ეს დამოუკიდებელი და დეფარული ცხოვრება. ყველასათვის უცნობი გავერევიოდი ბრბოში, ხალხის ვრცელ უდაბნოში!

„ზნირად ვიჯექ საყდარში, სადაც ცოტა მლოცველი დადიოდა და მთელ საათებს ჩაფიქრებული ვატარებდი. ვხედავდი, როგორ

მოდოდნენ ქალები და ღვთის წინაშე მიწაზე ერთხმებოდნენ, ან ცოდვილნი სააღმსარებლოში მუხლს როგორ იდრეკდნენ. ერთიც კი არ ყოფილა ისეთი, რომ საყდრიდან უფრო ნათელი სახით არ გასულიყო; ის ყრუ გუგუნის, გარეთ რომ ისმოდა, თითქოს ქვეყნის ვნებათა ღელვა და ქარტახილი იყო, რომელიც უფლის ტაძრის საძირკველთან ქრებოდა. ღმერთო. დიდებულო, რომელსაც გიხილავს ამ წმინდა სავანეში. საიდუმლოდ დაღვრილი ჩემი ცრემლები, შენ უწყი, რამდენჯერ დავცემულვარ შენ ფერხთა წინაშე, შეგვედრებივარ მოგესხნა ჩემთვის არსებობის ტვირთი, ან გამოგეცვალა ჭიმში მოხუცი ადამიანი! ოჰ! ვის არ აღძვრია ზოგჯერ სურვილი გადახალისებისა, წყალთა ნიაღვარში გაახალგაზრდავებისა, სიცოცხლის წყაროში სულის ამოვლებისა? ვის არ უგრძვნია ზოგჯერ თავი საკუთარი გარყვნილების სიმძიმით დათრგუნვილად და უძლურად, რომ რაიმე დიდი, კეთილშობილი, მაღალი გააკეთოს?

„როდესაც შელამდებოდა, ჩემი თავშესაფარიდან უკან დაებრუნდებოდი, ხიდებზე შევჩერდებოდი, ჩამავლ მზისთვის რომ მეცქირა. მნათობს ქალაქის ანაოროთქლი აენტო და თითქოს ოქროს სითხეში თრთოდა ნელა, როგორც საუკუნეთა დიდი საათის ქანქარა. მერე ღამეს გავეყვებოდი, დაცარიელებულ ქუჩების ლაბირინტს გავივლიდი, ადამიანთა ბინებში მოკიაფე სინათლეს შევსცქეროდი და ჩემი ფიქრები დასტრიალებდა მის მიერ განათებულ მწუხარებისა და სიხარულის სცენებს; თან ის აზრიც არ მეშვებოდა, რომ ამ ჭერქვეშ მობინადრეთა შორის ერთი მეგობარიც არ მყავდა. ამ ფიქრებში რომ ვიყავი გართული, ვუთურო ტაძრის კოშკიდან საათის თანაბარზომიერი რეკა მოისმა, რომელიც მეორდებოდა სხვადასხვა ხმაზე და მანძილზე, საყდრიდან საყდრამდე. უჰ! ყოველი საათი საზოგადოებაში პირს უხსნის სამარეს და ცრემლებს გვაფრქვევინებს.

„ასეთი ცხოვრება, რომელმაც პირველად გამიტაცა, ჩემთვის მალე აუტანელი შეიქნა. დავიქანცე ერთიდაიმავე მდგომარეობისა და აზრების განმეორებით. ჩემი გულის შესწავლას შევეუდექე, თავს ვეკითხებოდი: რა სურდა მას. ეს მე თვითონ არ ვიცოდი და ანაზღაოთ. გავიფიქრე, რომ ტყეში ვიგრძნობდი მე ნეტარებას. მყისვე გადავწყვიტე სოფლად გარდავხვეწილიყავ და იქ დამესრულებინა. ჩემი ზელახლა დაწყებული ცხოვრება, რომელსაც უკვე საუკუნეები შევალიე.

„ამ გარდაწყვეტილებას ისეთივე გატაცებით ჩავეჭიდე ხელი, როგორც საერთოდ ყოველ ჩემს განზრახვას. ახლაც, როგორც წინათ



ქვეყნების შემოსავლელად, სასწრაფოდ გავემგზავრე, რომ სადმე ქობში დავმარხულიყავ.

„ბრალს მდებენ, რომ ცვალებადი გემოვნება მაქვს, ერთიდა-იგივე ქიმერა დიდხანს ვერ მატკობს, რომ მსხვერპლი ვარ ოცნებისა, რომელიც იჩქარის ამოსწუროს ყოველი ჩემი სიამოვნება, თითქოს ამ სიამოვნების ხანგრძლივობით ოცნება იჩაგრებოდეს; ბრალს მდებენ, რომ ყოველთვის გვერდს ვუვლი მიზანს, რომლის მიღწევაც შემიძლია: ეჰ! მე მხოლოდ უცნობ სიკეთეს დავეძებ, რომლის ალლო ხან დამდევს. ნუთუ ეს ჩემი ბრალია, რომ ყველგან დაბრკოლებებს ვხვდები; და ის, რაც გათავებულია, ჩემთვის არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს. ამავე დროს ვგრძნობ, რომ ცხოვრების განცდების ერთფეროვნება მიყვარს; და მე რომ ისე გიჟი ვიყო, ბედნიერება მწამდეს, მას ჩვეულებაში მოვძებნიდი.

„სრულმა მარტობამ, ბუნების ჭვრეტამ, მალე აუწერელ მდგომარეობაში ჩამაგდო. უნათესაო, უმეგობრო, ასე ვსთქვათ, დედამიწაზე სულ მარტო დარჩენილი, მე, რომელსაც არავინ მყვარებია, ცხოვრების სიჭარბით ვიყავ მოტეხილი. ზოგჯერ მოულოდნელად ვწითლდებოდი და ვგრძნობდი, თითქოს ჩემს გულში ანთებული ნიაღვრის ნაკადულები დიოდნენ; ზოგჯერ ჩემდაუნებურად ვყვიროდი, და ღამეც ასევე შეწუხებული მქონდა უძილობითა და სიზმრებით. რაღაც მაკლდა, ჩემი არსებობის უფსკრული რომ ამომევისო: ბარში დავეშვებოდი თუ მზაზე ავდიოდი, სურვილებით შეპყრობილი შმაგად ვუხმობდი მომავალი ვნების სრულყოფილ საგანს; ვეხვეოდი მას ქარში; მეგონა მისი ხმა მდინარის დუღუნში მესმოდა; ყველაფერი ეს: ცაში ვარსკვლავები და სიცოცხლის საფუძველიც კი სამყაროში მოჩვენება იყო.

„ყოველ შემთხვევაში რაღაც მომხიბვლელობას მაინც არ იყო მოკლებული ეს მდგომარეობა შფოთვა-სიმშვიდისა და სიმდიდრესილარიბისა: ერთ დღეს ასე ვერთობოდი; ტირიფის ტოტს ფოთლებს ვაცლიდი და ნაკადულში ვყრიდი, თან ყოველ წყალწყალებულ ფოთოლს რაიმეს ჩავუთქვამდი. მოულოდნელი რევოლუციის დროს გვირგვინის დაკარგვის შიშით შეპყრობილი მეფეც კი არ სწუხს ისე ძლიერ, როგორც მე ვწუხდი მაშინ, როდესაც ჩემი ტოტის ნაფლეთებს რაიმე ხიფათი ემუქრებოდა. ოი, მომაკვდავთა სისუსტევე! ოი ბავშვობავე ადამიანის გულისა, რომელიც არასოდეს ბერდება! აი სიბავშვის რა დონემდე შეიძლება დაეშვას ჩვენი ზვიადი გონება! მართლაც, ხომ ბევრია ისეთი ადამიანი, რომელიც თავის ბედს უმნიშვნელო რამეს, როგორც მე ტირიფის ფოთლებს უკავშირებს.

„მაგრამ როგორ გადმოგცეთ ჩემ მიერ სეირნობის დროს განცდილი, ეს უამრავი წარმავალი შთაბეჭდილება. ვნებათა ლელვით გულის სიცალიერეში აუღერებელი ხმები ჰგავს ქართა და წყალთა ბუტბუტს უდაბნოს სიწყნარეში: ამით სტკბებიან, მაგრამ მისი გამოხატვა არ შეუძლიათ.

„ამ გაურკვეველ მდგომარეობაში მყოფს შემოდგომამ მოშისწრო. ქარიშხლიან თვეებში აღტაცებით შევდიოდი. ხან მინდოდა ერთი იმ მებრძოლთაგანი ვყოფილიყავ, რომელიც ქარსა და ღრუბლებში აჩრდილებ-შორის დაეხეტება, ხან იმ მწყემსის ბედს შევინატროდი, რომელიც სადღაც ტყეში ფიჩხებით პატარა ცეცხლს ანთებდა და ხელებს ითბობდა. ვუსმენდი მის სევდიან სიმღერას, რამაც მომაგონა, რომ ყველა ქვეყანაში ადამიანის ბუნებრივი სიმღერა ნაღვლიანია, მაშინაც კი, როდესაც ის ბედნიერებას გამოხატავს. ჩვენი გული მოუთავებელი ინსტრუმენტია, ქნარი, რომელსაც სიმები აკლია, და ჩვენ იძულებული ვართ სიხარულის ხმები კენესის სიმებს გამოვატყვინოთ.

„დღისით ტყის მახლობლად, მაღალ მანანებში დავეხეტებოდი. რა ცოტა რამ იყო საკმარისი, რომ ოცნებას მივცემოდი! გამხმარი ფოთოლი, ჩემს წინ ქარი რომ მიაქროლებდა; ქოხი, რომლის ბოლი ხეების გაძარცულ კენწეროებს აღწევდა; ხავსი, რომელსაც ჩრდილოეთის სუნთქვა მუხის ტანზე ათროთლებდა; შორეული კლდე; უდაბური ტბა, სადაც მიმჭნარი ღერწამი თავისთვის ლულულულებდა. შორს ბარში განცალკევებული, ამაღლებული სამრეკლო ჩემ თვალებს ხშირად იტაცებდა. ხშირად თვალს ვაყოლებდი გადამავალ ფრინველებს, თავზე რომ გადამივლიდნენ. წარმოვიდგენდი უცნობ ნაპირებს, შორეულ ქვეყნებს, საითკენაც ფრთოსანნი მიისწრაფოდნენ. მსურდა მათ ფრთებს ავეტაცე. იდუმალი ალღო მაწვალებდა; ვგრძნობდი, რომ მეც მხოლოდ მოგზაური ვიყავი; მაგრამ ციდან თითქოს ხმა ჩამომძახოდა: „ადამიანო, შენი გადასახლების დრო ჯერ არ მოსულა; სიკვდილის ქარის ამოვარდნას დაუცადე: მაშინ გაშლი ფრთებს იმ უცნობ მხარეში გასაფრენად, საითკენაც გული მიგიწევს“

„ამოვარდით სასურველნო ქარიშხალნო, რომლებმაც რენე სხვა ქვეყნის სივრცეებში უნდა გაიტაცოთ!“

„ასე ვუხმობდი და სახეანთებული დიდ ნაბიჯებს ვდგამდი; ჩემს თმებში ქარს ზუზუნნი გაჰქონდა; არ ვგრძნობდი არც წვიმას, არც ჭირხლს, აღტაცებული, გატანჯული, თითქოს ჩემი გულის დეშონს შევეპყარ.

„ღამით, როდესაც ჩრდილოეთის ქარი ჩემს ქოხს აზანზარებდა და სახურავს კოკისპირული წვიმა სცემდა, ფანჯრიდან ვხედავდი: ტალღებზე მსრბოლი, გაფითრებული გემივით, მთვარე რომ დახერგილ ღრუბლებს სერავდა; ასე მეგონა, გულის სიღრმეში სიცოცხლე მიორკეცდებოდა და ახალი ქვეყნის შექმნას შევსძლებდი. ეჰ! რომ შემძლებოდა სხვისთვის გამენდო ის აღტაცება, რომელსაც განვიცდიდი! ოჰ, ღმერთო! ჩემთვისაც გებოძებინა სასურველი მეუღლე, როგორც ჩვენს პირველ მამას მიჰგვარე, ისე ჩემთვისაც ხელმოკიდებული მოგეყვანა ჩემი გვერდიდან შექმნილი ევა... ციურრო მშვენებავ, შენს წინაშე განვერთხმებოდი; მერმე ხელთ აგიყვანდი და ღმერთს შევევედრებოდი, რომ ჩემი სიცოცხლის დარჩენილი დღეები შენთვის მოეცა!

„ეჰ! მარტო ვიყავი, მარტო ვიყავი დედამიწაზე! ჩემი სხეული იღუმალმა დაღლილობამ მოიცვა. სიცოცხლისადმი სიძულვილმა ახალი ძალით შემომიტია. ჩქარა ჩემი გული გონებას საზრდოს ველარ აძლევდა და არსებობას მხოლოდ ღრმა სევდა მაგრძნობინებდა.

„ერთ ხანს ვებრძოდი ჩემს სნეულებას, მაგრამ უგულოდ; მისი დამარცხების მტკიცე სურვილი არ მქონდა. ბოლოს, როდესაც ველარ ვუმკურნალე ჩემი გულის უცნაურ ჭრილობას, რომელიც არსად იყო, მაგრამ იმავე დროს ყველგან გვრძნობდი, გადავწყვიტე სიცოცხლეს გამოვსალმებოდი.

„ღვთის მსახურო, თქვენ მისმენთ, მომიტევეთ ზეცის-მიერთი თქმის გონება-წართმეულს, მე უბედურს. ღრმა მორწმუნე ვიყავი, მაგრამ უღვთოსავით ვაზროვნებდი; ჩემს გულს ღმერთი უყვარდა, ჩემი გონება კი მას უარყოფდა; ჩემი ქცევა, სიტყვა-პასუხი, ჩემი გრძნობები, ფიქრები მხოლოდ წინააღმდეგობას, წყვდიადს, სიცრუეს წარმოადგენდნენ. მაგრამ ადამიანმა განა ყოველთვის იცის ჯარგად, თუ რა სწადია? თავის ფიქრების ყოველთვის სჯერა?

„ყველაფერი ერთად მეცლებოდა ხელიდან, მეგობრობა, ქვეყანა, განმარტობა. ყველაფერი ვსცადე და ჩემთვის ყველაფერი საბედისწერო გამოდგა. საზოგადოებისაგან განდევნილს, ამელისგან მიტოვებულს, ბოლოს მარტოობასაც მოკლებულს რაღა დამრჩენოდა? ეს უკანასკნელი ფიცარი იყო, რომლითაც თავის გადარჩენას ვლამობდი და ვგრძნობდი, რომ ისიც უფსკრულში მეძირებოდა.

„რაკი ცხოვრების ტვირთისაგან განთავისუფლება გულს ჩავინერგე, გადავწყვიტე მთელი ჩემი გონება ამ უგუნურ საქმისაკენ მიმეძარბა. არაფერი მაჩქარებდა; გაგზავრების დრო არ დამინიშნავს, რომ ჩემი არსებობის უკანასკნელი წუთების გახანგრძლივებით

დამტკბარიყავი; ძალას ვიკრებდი, რომ ერთი ძველი ადამიანივით მეგრძნო ჩემი სულის განშორება.

„ამასობაში საჭიროდ ვცანი ჩემი ქონების საქმე მომეგვარებინა და იძულებული გავხდი ამელისათვის მიმეწერა. მისგან დავიწყებულს რამდენჯერმე სამღურავი წამომცდა და, რასაკვირველია, ჩემში სინაზემ იფეთქა, რომელიც თანდათან მიმორჩილებდა. მე კი მეგონა, რომ ჩემი საიდუმლო კარგად დავფარე. მაგრამ ამელიმ; რომელიც ჩემი სულის კუნჭულებში დაფარულის წაკითხვას ნაჩვევი იყო, განზრახვას ადვილად მიმიხვდა. ამელი შეეშფოთებინა ჩემს წერილში გამეფებულ ნაძალადევ კილოს და იმ საქმიან შეკითხვებს, რომელსაც წინათ ყურადღებას არ ვაქცევდი. პასუხის მოცემის მაგივრად, თვითონ ამელი მეწვია მოულოდნელად.

„კარგად რომ იგრძნოთ, როგორი უნდა ყოფილიყო შემდეგში ჩემი მწუხარების სიმწვავე და ჩემი პირველი ალტაცება, როდესაც ამელი დავინახე, საჭიროა იცოდეთ, რომ ამ ქვეყანაზე ის იყო ერთადერთი ადამიანი, რომელიც მიყვარდა და რომელშიაც თავს იყრიდნენ ჩემი მოგონებები ბავშვობის ტკბილ მოგონებებთან ერთად.

„ალტაცებით შევხვდი ამელის. რა დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც არავინ შემხედრია ისეთი, რომელსაც ჩემი მოესმინა და რომლისთვისაც გულის გადაშლა შემძლებოდა.

„ამელი გულზე დამეკონა და მითხრა: „უმაღურო, შენ სიკვდილი განიზრახე მაშინ, როდესაც და ცოცხალი გყავს, სჩანს მის გულს შენ ველარ ენდობი. ნურაფერს მიხსნი, ბოდიშსაც ნუ იხდი, ყველაფერი ვიცი; ყველაფერს მივხვდი, თითქოს შენთან ვყოფილიყავი. ნუთუ შეიძლება შევცდე მე, შენი პირველი გრძნობების ჩასახვის მოწმე? აი შენი უბედური ხასიათი, სიძულვილი, შენი უსამართლობა. შემომფიცე ახლა, როდესაც გულში გიკრავ, შემომფიცე, რომ სიგიჟეს უკანასკნელად დამორჩილებიხარ... ფიცი მომეც, რომ თავის მოკვლას არასოდეს განიზრახავ“.

„ამ სიტყვებს რომ მეუბნებოდა, თანაგრძნობითა და სინაზით მიცქეროდა, შუბლს კოცნით მიფარავდა, თითქმის დედასავით მეპყრობოდა; ის თითქოს დედაზე უფრო ნაზი იყო.

„ეჰ! ჩემი გული ყოველგვარ სიხარულისათვის გაიფურჩქნა; ბავშვივით ნუგეშისცემას ვითხოვდი მხოლოდ; ამელის დავემორჩილე: საზეიმო ფიცი მომთხოვა, უყოყმანოდ მივეცი; ეჭვიც არ შეპარებოდა, რომ ამიერიდან უბედური არ ვიქნებოდი.

„ამელი თვეზე მეტს დარჩა ჩემთან. ჩვენ შევეჩვიეთ ერთად ყოფნას და ამით ვტკბებოდით. დილით მარტოობის ნაცვლად ჩე-



მი დის ხმას რომ გავიგონებდი, სიხარულსა და ბედნიერების თრთოლვა ამიტანდა. ამელი ბუნებას რაღაც ღვთიური ღირსებით დაეჯილდოვებინა; მისი სული ისეთივე უმანკო მშვენივით იყო შემკული, როგორც მისი სხეული; გრძნობებს უსაზღვრო სინაზე ახლდა. გონება მხოლოდ ოცნებით ოდნავ დაბინდულსა და ფაქიზ ფიქრებს შეეპყრო; იტყოდით: მისი გული, ფიქრი, ღმა შეხმატკბილებულანო. ქალისგან ამელის მორცხვობა და სიყვარული მიელო, ანგელოზისაგან კი უმანკოება და ტკბილხმოვანება.

„დადგა წუთი, როდესაც ყველა ჩემი მოუფიქრებელი საქციელი უნდა გამომესყიდა. ჩემს სიშმაგეში უბედურების განცდის სურვილამდეც კი მივედი, რომ ტანჯვის ნამდვილი საგანი მაინც მქონოდა: საშინელი სურვილია, რაც ჩემზე განრისხებულმა ღმერთმა გადაჭარბებით შემისრულა!

„რა უნდა გაგიზიაროთ, ჩემო მეგობრებო! შეხედეთ ცრემლებს, ჩემი თვალები რომ ღვრიან. შევსძლებ კი... რამდენიმე დღის წინათ, ამ საიღუმლოს პირიდან ვერავინ ამომგლეჯდა... ახლა ყველაფერი გათავებულია!

„ოი, მოხუცნო, ეს ამბავი მაინც საუკუნოდ დაიმარხოს ამ მღუმარებაში: გახსოვდეთ, რომ ის ნაამბობია მხოლოდ უდაბნოში, ხის ქვეშ.

„ზამთარი იწურებოდა, როდესაც შევნიშნე, რომ თვითონ ამელი ჰკარგავდა იმ სიმშვიდესა და სიჯანმრთელეს, რომელსაც მე მიბრუნებდა. ხდებოდა, თვალები ჩაუცვივდა, მისუსტებული ძლივს დადიოდა, ხმა უთრთოდა. ერთხელ შევესწარ ჯვარცმის წინ დამხობილი ცრემლად იღვრებოდა. საზოგადოებაში ყოფნა, მარტოობა, ჩემთან დაშორება და სიახლოვე, დღე, ღამე — მას ყველაფერი აშინებდა. მის ბაგეს უნებური ოხვრა აღმოხდებოდა; ხან დაუღლეოდ იტანდა ხანგრძლივ სეირნობას, ხან ფეხებს ძლივს მიათრევდა; საქმეს ხელს მოჰკიდებდა და თავს მიანებებდა, წიგნს გადაშლიდა, მაგრამ წაკითხვას ვერ ახერხებდა; წინადადებას დაიწყებდა, მაგრამ ვერ დაამთავრებდა; უეცრად ცრემლთა ნიაღვარი მოსწყდებოდა და სალოცავად წავიდოდა.

„მისი საიღუმლოების გაგება მინდოდა, მაგრამ ვერაფერი ვაფიქვე. როდესაც ჩემს მკერდზე მიკრულს თავის საიღუმლოებაზე შევეკითხებოდი, ამელი ღიმილით მიპასუხებდა, მეც შენსავითა ვარო და თვითონაც არ ვიცი, რა მჭირსო.

„სამმა თვემ განვლო ამნაირად და მისი მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა. მისი ცრემლების მიზეზი ჩემი ფიქრით საიღუმლო მიმოწერა იყო, რადგან ამელი ან უფრო დამშვიდებული,

ან უფრო აღელვებული მეჩვენებოდა, იმისდამიხედვით, თუ როგორ წერილს მიიღებდა. ბოლოს ერთ დილას, როდესაც ჩვენი ერთად საუზმობის დრომ გადაიარა, მე მის ბინაში ავედი: არავინ არის ოთახში. ბუხრის თავზე წერილი დევს ჩემს სახელზე. აკანკალებულმა ხელი ვსტაცე, გავხსენი და წავიკითხე ეს წერილი, რომელსაც ვინახავ იმისთვის, რომ მომავალში სიხარულის ოდნავი ჩანასახიდანაც კი თავი დავიფარო.

## რენეს

„ზეცაა მოწმე, ჩემო ძმაო, რომ სიცოცხლეს ათასჯერ გავსწირავდი ძხოლოდ იმისთვის, რომ ერთი წუთითაც თქვეხთვის ტასჯვა ამეცილებინა; მაგრამ იმდენად უბედური ვარ, რომ თქვენი ბედნიერებისთვის არაფერი ძალმიძს. მოძიტევეთ, დამნაშავესავით რომ გავიპარე; ვერ შევძლებდი თქვენს მუდარას გავმკლავებოდი, წასვლა კი აუცილებელი იყო... ღმერთო ჩემო, შემიბრალებო!“

„რენე, თქვენ იცით მონაზონის ცხოვრება მე ყოველთვის მიზიდავდა, დროა ცის გაფრთხილება გამოვიყენო. რას ვუცდიდი, ასე რატომ დავიგვიანე? ღმერთი მსჯის ამისთვის. თქვენი გულისთვის დავრჩი ამ სოფლად... მოძიტევეთ სულ არეული ვარ მწუხარებით, რომ მიგატოვებო.“

„ჩემო ძვირფასო ძმაო, სწორედ ახლა ვგრძნობ ამ თავშესაფართა საჭიროებას, რომელთა წინააღმდეგ თქვენ ასე ხშირად ილაშქრებდით. ამქვეყნად ბევრი უბედურება გვაშორებს ადამიანებს სამუდამოდ. რა ეშველებათ მაშინ ბედით განწირულ, საწყალ ადამიანებს?... დარწმუნებული ვარ, ჩემო ძმაო, რომ თქვენც კპობედით სიმშვიდეს სარწმუნოების ფრთებქვეშ: მიწა ისეთს არაფერს გთავაზობთ, რაც თქვენი ღირსი იყოს.“

„თქვენს ფიცს არც მოგაგონებო! ვიცი თქვენი სიტყვის სიმტკიცე. თქვენ შემომფიცებთ და ჩემთვის იცოცხლებო. რა დიდობა უბედურება უნდა იყოს განუწყვეტლად ფიქრი სიცოცხლის განშორებაზე? თქვენი ხასიათის ადამიანისთვის სიკვდილი ადვილია. დაუჯერებო თქვენს დას, სიცოცხლე უფრო ძნელია.“

„მაგრამ, ჩემო ძმაო, რაც შეიძლება, მალე დააღწიეთ თავი მარტობას, რომელიც არაფითარ სიკეთეს არ გიქადისო. რაიმე საქმეს მოჰკიდებთ ხელი: მე ვიცი, თქვენ მწარე სიცოცხლს გგვრით ის აუცილებლობა, რომ საფრანგეთში ყველამ რაიმე მდგომარეობა უნდა შეიქმნას. ჩემი მამების სიბრძნე და გამოცდილება ასე ნუ გეზიზღებათ. უმჯობესია, ჩემო ძვირფასო რენე, ჩვეულებრივ ადამიანებს უფრო ჰგავდეთ და უფრო ნაკლებად იყო უბედური.“



„სევდის შემსუბუქება შეიძლება დაქორწინებაში ჰპოვოთ-  
ცოლი, ბავშვები თქვენს ღლეებს აავსებენ. ვინ იქნება ისეთი ქა-  
ლი, რომ თქვენი გაბედნიერება არ ისურვოს! თქვენი სულის გზნე-  
ბა, ბრწყინვალე ნიჭი, თქვენი სახის კეთილშობილური და ვნებიანი  
გამომეტყველება, ზვიადი და ნაზი გამოხედვა, ყველაფერი ეს და-  
გიმკვიდრებდა ქალის სიყვარულსა და ერთგულებას. აჰ! რა ნეტა-  
რებით შემოგხვევდა ხელებს და გულში ჩაგიკრავდა! თვალსა და  
ფიქრს არ მოგაშორებდა, ოდნავი საწყენიც რომ აეცდინა შენთვის!  
ის ქალი იქნებოდა შენი სიყვარული, სრული უმანკოება შენს წი-  
ნაზე, გეგონებოდა, რომ ახალი დაი ჰპოვე.

„მივგეზავრები ბ-ის მონასტერს, რომელიც ზღვის პირასაა და  
ჩემს სულიერ განწყობილებას შეეფერება. ღამე ჩემს საკანში ტალ-  
ღების ლულულულს მოვისმენ, რომლებიც მონასტრის კედლებს ევ-  
ლებიან. მოვიგონებ ჩვენს ხშირ სეირნობას შუაგულ ტყეში, სადაც  
ფიჭვების კენწეროების შრიალი ზღვის ხმაურობად გვეჩვენებოდა.  
ნუთუ აწ ველარ გიხილავ, ჩემი ბავშვობის საყვარელო მეგობარო?  
მე, თქვენზე ოდნავ უფროსი, აკვანს გირწევდი; ხშირად ერთად  
გვძინებია. აჰ! ნეტავ ოდესმე ერთ ლოდ-ქვეშ ვპოვებდეთ ბინას!  
მაგრამ არა: მე ცალკე უნდა მეძინოს იმ საკუთხეველის ცივ მარ-  
მარილოთა ქვეშ, სადაც სამარადისოდ განისვენებენ ის ქალწულები,  
რომელთაც არასოდეს სიყვარული არ განუცდიათ.

„არ ვიცი, შესძლებთ თუ არა ჩემი ცრემლებით სანახევროდ  
წაშლილ სტრიქონების წაკითხვას. ბოლოსდაბოლოს, ჩემო მეგობარო,  
ადრე თუ გვიან, ერთმანეთს ხომ უნდა დავშორებოდით? განა  
საჭიროა, თქვენთან იმაზე საუბარი, თუ რა დაუდევარია ცხოვრე-  
ბა და რა მცირე ფასი აქვს მას? თქვენ გახსოვთ ახალგაზრდა ვა-  
ჟი?... მ..., ლილ დე ფრანსთან გემის ჩაძირვის დროს რომ დაიღუპა.  
თქვენ რომ მისი უკანასკნელი წერილი მიიღეთ, — ის უკვე რამდე-  
ნიმე თვის მკვდარი იყო, მისი მიწიერი ნეშტიც კი აღარ არსებობდა;  
როდესაც თქვენ აქ გლოვას იწყებდით, ის უკვე გამოგლოვილი  
იყო ინდოეთში, რას წარმოადგენს ადამიანი, რომლის ხსოვნაც ასე  
ჩქარა ქრება? მეგობრობის ერთ ნაწილს მისი სიკვდილი არც კი  
გაეგოთ, რომ მეორეს უკვე დავიწყებული ჰყავდა. ნუთუ, ძვირფა-  
სო, უძვირფასესო რენე, ჩემი ხსოვნაც ასე სწრაფად ამოიშლება  
შენი გულიდან? ოჰ, ჩემო ძვირფასო ძმაო! თუ დროთა ვითარებაში  
თქვენ მოგწყდით, ეს იმიტომ, რომ მარადისობაში თქვენთან გა-  
ნუყრელი ვიყო.

ამელი.

P. S. აქვე ვურთავ ნაჩუქრობის წერილს ჩემს ჭონებაზე: იმე-  
დი მაქვს მიიღებთ, როგორც ჩემი მეგობრობის გამოხატულებას“.

„თითქოს მეხი დამცემოდეს, ისე იმოქმედა ჩემზე ამ წერილ-  
მა. რა საიდუმლოებას მიმალავდა ამელი? რამ აიძულა ასე მოუ-  
ლოდნელად მონაზნად აღკვეცილიყო? ნუთუ იმისთვის მომხიბლა  
მეგობრობით, სიცოცხლეს დამაკავშირა, რომ ასე უეცრად მივე-  
ტოვებინე? ოჰ! რატომ ჩამოვიდა და ჩემს განზრახვაზე ხელი ამა-  
ლებინა? ის ჩემთან სიბრალულის გრძნობამ მოიყვანა; მაგრამ ამ  
მძიმე მოვალეობამ დაჰქანცა და აჩქარდა, რომ მივეტოვებინე უბე-  
დური, რომელსაც მის გარდა არავინ ჰყავს ამ ქვეყანაზე. ჰგონიათ,  
თუ ადამიანს თავის მოკვლაში ხელი შეუშალეს, ამით ყველაფერი  
გააკეთეს! ასე მოვსთქვამდი. მერე ფიქრს მივეცემოდი, მე როგორ  
მოვიქცეოდი: „უმაღურო ამელი, ვამბობდი, შენ რომ ჩემს მდგო-  
მარეობაში ყოფილიყავ, ჩემსავით დღეთა სიცალიერეში რომ და-  
კარგულიყავ, ოჰ, შენი ძმა არ მიგატოვებდა!“

„მაგრამ, როდესაც წერილს გადავიკითხავდი, შიგ რაღაც ისეთ  
სევდიანსა და ნაზს ვპოულობდი, რომ გული მიდნებოდა, უცბად  
ერთმა აზრმა გამიელვა და ოდნავ იმედი მომეცა: გავიფიქრე, იქ-  
ნებ ამელის ვინმე შეუყვარდა და გამყლავნებას ვერ ბედავდა. ეს  
ეჭვი თითქოს გასაგებს ხდიდა მის მეღანქოლიას, საიდუმლო მიმო-  
წერასა და დატოვებული წერილის აღგზნებულ კილოს. მაშინვე,  
მივწერე, ვემუდარებოდი, ჩემთვის გული გადაეშალა.

„პასუხი არ დამიგვიანა, მაგრამ თავისი საიდუმლოება მაინც  
არ გამანდო. მორჩილობის გავლა მაპატიეს და მონაზნობის აღ-  
თქმას ღმერთს მალე მივცემო, მხოლოდ ამას მატყობინებდა.

„აღშფოთებული ვიყავ ამელის სიჯიუტით, საიდუმლოებით  
მოცული მის სიტყვებითა და უფრო იმით, რომ ჩემს მეგობრობას  
არა საკმაო ნდობით ეკიდებოდა.

„წუთი არ მიყოყმანია, თუ როგორ უნდა მოვქცეულიყავი და მე-  
ბ—ს გამგზავრება გადავწყვიტე, რომ უკანასკნელი ძალღონე მეხ-  
მარა ჩემი დის გადასარწმუნებლად. ის ადგილი, სადაც აღვიზარ-  
დე, გზად უნდა გამეარა. როდესაც თვალი მოვკარ ტყეს, სადაც  
ცხოვრების საუკეთესო დღეები გამიტარებია, ცრემლები ვერ შე-  
ვიკავე და ვერც სურვილი დავსძლიე, — ტყეს უკანასკნელად გა-  
მოვთხოვებოდი.

„ჩემს უფროსს ძმას მემკვიდრეობით მიღებული მამული გაე-  
ყრდა, ახალი მემამულე კი ჯერ იქ არ სცხოვრობდა. ფიჭვნარის  
გრძელი ხეივანით სასახლეს მივადექ, დაცარიელებული ეზოები ფე-  
ხით გავიარე; ვჩერდებოდი და შევსცქეროდი დაკეტილს ან ნახევ-

რადდამტვრეულ ფანჯრებს, თავცეცხლას, კედლების ძირში რომ იზრდებოდა, და დაობლებულ პარმალს, სადაც არაერთხელ მინახავს მამაჩემი თავისი ერთგული მსახურებით. ხავსს დაუფარავს კიბის საფეხურები. მათ დაშორებულ მოქანავე ქვებ-შორის ყვითელი მათი-ოლა იზრდებოდა. მოულოდნელად უცნობმა დარაჯმა კარები გაშილო. შეეყოყმანდი, შეესულიყავ თუ არა. მაშინ დარაჯმა წამოიძახა: „აბა! ნუთუ თქვენც იმ უცხო ქალივით მოიქცევით, რომელიც რამდენიმე დღის წინათ აქ იყო? შემოსვლას რომ აპირებდა, გული შეუღონდა, და იძულებული შევიქენ ეტლში ჩამესვა“. ადვილად მივხვდი, ის უცხო ქალი ვინ უნდა ყოფილიყო, რომელიც აქ ჩემსავით მოსულა წარსულის მოსაგონრად და ცრემლთა საფრქვევად.

„ერთ წამს თვალებზე ცხვირსახოცი შივიფარე და ჩემი წინაპრების ჭერქვეშ შევედი. შემოვირბინე. მოგუგუნე ოთახები, სადაც მხოლოდ ჩემი ფეხის ხმა ისმოდა. დაკეტილი დარაბებიდან შემოსული სუსტი შუქი ოდნავ ანათებდა ოთახებს. ვნახე ის ოთახიც, სადაც დედაჩემი ჩემი გაჩენის დღეს სიცოცხლეს გამოგსალმა. ის ოთახიც, რომელშიაც მამაჩემი გარდაიცვალა; ისიც, სადაც აკვანში შეძინა. ბოლოს ის ოთახიც, სადაც ჩემს დას მეგობრობა შევეფიცე. დარბაზები მოუვლელი იყო, და მიტოვებულ საწოლებზე ობობა ქსელს აბამდა. სწრაფად დავტოვე ეს ადგილები, დიდი ნაბიჯებით დავშორდი იქაურობას, უკან მიხედვასაც კი ვერ ვბედავდი. რა ტკბილია, მაგრამ რა სწრაფად მიჰქრიან ის წუთები, რომლებიც და-ძმას ბავშვობაში მოხუცი მშობლების ფრთებ-ქვეშ გაუტარებია. ადამიანის ოჯახის არსებობა მხოლოდ ერთ დღეს გრძელდება. ღვთის ერთი სულის შებერვაა საკმარისი, და ოჯახი ბოლივით იფანტება. შვილი ძლივს სცნობს მამას, მამა შვილს, ძმა დასა და და ძმას. მუხა ხედავს, მის გარშემო რკოები ძირს როგორ იკეთებენ. ადამის შვილნი ამასაც მოკლებული არიან.

„როგორც კი ბ-ში ჩავედი, მონასტრისკენ გავსწიე. ვთხოვე იქ ჩემი და სალაპარაკოდ ეჩვენებინათ. მითხრეს, არავის ლებულობსო. ბარათი გავუგზავნე. ამელიმ მიპასუხა: საცა არის მონახნად უნდა აღვიკვეცო და ნება არ მაქვს ამ ქვეყნიურ ფიქრებს მივეცეო; თუ გიყვარვარ, შენს მწუხარებას ამარიდებ, არ დამტანჯავო. წერილს ასე ამთავრებდა: „მაგრამ თუ თქვენ ჩემი ალთქმის მიცემის დღეს საკუროთხვევლთან მოსვლას მოისურვებთ, პატივი დამდეთ და მამის შაგივრობა გამიწიეთ; თქვენს ვაჟაკობას მხოლოდ ასეთი საქცირელი შეშვენის, რომელიც ჩვენს მეგობრობას და ჩემს სიმშვიდეს შეეფერება“.



„საშინლად გამაშმაგა ამ ცივმა სიმტკიცემ, რომელიც ჩემს მგზნებარე მეგობრობას დაახვედრეს. ხან უკან გაბრუნებას გადავწყვეტიდი, ხან დარჩენა მინდოდა, განსაკუთრებით იმისთვის, რომ მონაზნად აღკვეცის წესის შესრულებისათვის ხელი შემეშალა. ჯოჯოხეთი შემომიჩნდა, რომ საყდარში თავი მომეკლა და ჩემი უკანასკნელი სუნთქვა იმ აღთქმას შეერთებოდა, რომელიც დასმტაცებდა. დედათა მონასტრის წინამძღვარმა ქალმა შემატყობინა, საკურთხეველში თქვენთვის სკამი დავდგი თო და მეორე დღისთვის დანიშნულ წესის შესრულებაზე დასასწრებად მპატიჟებდა.

„ალიონზე ზარების პირველი რეკა მომესმა... მეათე საათზე სულთმობრძავეით მივათრევედი ფეხებს მონასტრისკენ. ვინც მსგავს სანახაობას დასწრებია, მისთვის არაფერი არ იქნება უფრო ტრაგიკული; ვისაც ეს განუცდია, მისთვის არაფერი არ იქნება უფრო სამწუხარო.

„საყდარში აუარებელი ხალხი იყო. საკურთხეველში სკამთან მიმიყვანეს; მუხლებზე დავეცი; თითქმის არც კი ვიცოდი, სად ვიყავი ან რა გადავწყვიტე. მღვდელი იცდიდა საკურთხეველში; უეცრად იღუმალი კარი იღება, და ამელი წინ მოიწევს ამ ქვეყნოური მთელი ბრწყინვალეებით მორთული. ისეთი მშვენიერი იყო, მის სახეს რაღაც ისეთი ღვთაებრივი გამომეტყველება ჰქონდა, რომ ხალხში გაკვირვება და აღტაცება გამოიწვია. წმინდანის მალალი მწუხარებით დამარცხებულს, სარწმუნოების სიდიადით განადგურებულს შმაგი ზრახვები გამიქრა; ძალამ მიმტყუნა; ვიგოძენ, თითქოს ყოვლისშემძლე ხელმა შემბოჭა; და ღვთისგამობისა და მუქარის ნაცვლად, გული მხოლოდ ღრმა მოწიწებითა და მორჩილების კვნესით ამევსო.

„ამელი გავალაკსქვემ დგება. წირვა იწყება, ლამპართა შუქით განათებულ, ყვავილებით მორთულ და სურნელება მოფრქვეულ საყდრის დარბაზში, რომ შეწირვა სასიამოვნო გაეხადათ. სეფისკვერისა და ზედაშის კურთხევამდე მღვდელი შესამოსს იხდის, იტოვებს მხოლოდ სელის კაბას. კათედრაზე ადის და სადა, მგზნებარე ქადაგებაში გვიხატავს იმ უმანკო ქალის ბედნიერებას, რომელიც უფალს ეწირება. როდესაც წარმოსთქვა ეს სიტყვები: „უბიწო ქალი მოგვევლინა საკმეველივით, რომელიც ცეცხლში იწვის,“ თითქოს დარბაზს დიადი სიწყნარე და ციური სურნელება მოეფინა; ისეთ გრძნობას მოეცვა ყველა, თითქოს ისინი მისტიკური შტრედის ფრთებს დაეფაროს, თითქოს საკურთხეველზე ანგელოზები ეშვებოდნენ და გვირგვინით შემკულნი, კეთილსურნელოვანნი ისევ ცად აღიოდნენ.

„მღვდელი ქადაგებას ამთავრებს, ხელახლა იცვამს შესამოსს, წირვას განაგრძობს. ამელი, რომელიც ორ ახალგაზრდა მონაზონს მოჰყავს, საკურთხეველის უკანასკნელ საფეხურზე იჩოქებს. მოდიან ჩემს წასაყვანად, მამის მოვალეობა რომ შემასრულებინონ. ამელის ჩემი აბარბაცებული ფეხის ხმა რომ მოესმა, კინაღამ გული წაუვიდა. მღვდლის გვერდით დამაყენეს, მისთვის მაკრატელი რომ მიმეწოდებინა. იმ წუთში ვიგრძენ, რომ ალგზნება მეწყებოდა. ის-ის იყო ჩემს სიშმაგეს უნდა ეფეთქა, რომ ამელიმ გამბედაობა მოიკრიბა და ერთი შემომხედა. ამ შემოხედვაში იმდენი საყვედური და მწუხარება იხატებოდა, რომ გამანადგურა. სარწმუნოება იმარჯვებს. ამელი ჩემი დაბნევით სარგებლობს; მარდათ თავს დაჰჭრის; ნაკურთხი საღმრთო რკინა ეხება და მისი საუცხოო თმა ცვივა გარშემო. ეტამინის გრძელი კაბა სცვლის მის მორთულობას. მაგრამ ამით ამელის მიმზიდველობა არ აკლდება; მის შუბლზე აღბეჭდილი სევდა სელის თავსაფარქვეშ იმალება; გაძარცულ თავს უფარავს საიდუმლო პირსაბურთი, უმანკოებისა და სარწმუნოების ორმაგი სიმბოლო. არასოდეს არ ყოფილა ამელი ასე მშვენიერი. მონანიეს თვალი ქვეყნის მტვერისკენ მიეპყრო, მისი სული კი ცას მისცემოდა.

„მაგრამ ამელის ჯერ აღთქმა არ წარმოუთქვამს; ამ ქვეყნისათვის რომ მომკვდარიყო, საფლავი უნდა გაეცლო. ჩემი და მარმარილოზე წვება. სუდარას აფარებენ, რომლის ოთხივე კუთხესთან ლამპარი ანთია. ეპიტრახილიან მღვდელს ხელში წიგნი უჭირავს და პანაშვიდს იწყებს; ახალგაზრდა ქალწულები მას განაგრძობენ. ოჰ, რა დიადი და რა საშინელი ხარ სარწმუნოების სიხარულო! ამ სამგლოვიარო სუდარასთან დამაჩოქეს. უეცრად სუდარის ქვეშიდან გაურკვეველი ჩურჩული ისმის, რომლის გაგონება მხოლოდ მე შემეძლო. ვიხრები და საშინელი სიტყვები ხვდება ჩემს ყურს: „მოწყალეო ღმერთო, ნუ ამაყენებ ამ სიკვდილის სარეცელიდან და შენი მაღლი მოჰფინე ჩემს ძმას, რომელსაც ჩემი ცოდვილი ვნება არ გაუზიარებია!“

„კუბოდან ამოძახილმა ამ სიტყვებმა საშინელი ჭემმარიტება მამცნეს, გონება ამებნა; სუდარაზე ვეცემი, დას გულში ვიკრავ, თავს დავძახი: „იესო ქრისტეს უბიწო მეუღლე, უკანასკნელად ჩამეკარ გულში სიკვდილის სიცივეში და მარადისობის წიაღში; რომლებიც უკვე შენს ძმას გამოორებენ.

„ეს აღელვება, ძახილი, ცრემლები წესის შესრულებას ხელს უშლის. მღვდელი დუმდება. მონაზნები კარს ხურავენ, ბრბო ტოკავს და საკურთხეველისკენ მოიწევს. უგრძობლად გამიყვანეს.

შომაბრუნეს, მაგრამ არავის ვუმადლოდი ამას. როდესაც თვალი ვავახილე, გავიგე, რომ წირვა დასრულებულიყო. ამელის დაება-  
რებინა, ჩემს ნახვას არ ეცადაო. ოჰ, ცხოვრების არარაობავ! დას  
ძმასთან ლაპარაკის ემინოდეს და ძმას ემინოდეს, რომ დას თავის  
შმა გააგონოს! გამოვედი მონასტრიდან, სადაც ცეცხლი ჩვენ ცის-  
თვის გვამზადებს, სადაც, როგორც ჯოჯოხეთში, იმედის გარდა,  
ყველაფერი დაკარგულია.

„პირად უბედურებასთან საბრძოლველად სულიერ ძალას იპო-  
ვი, მაგრამ ის კი ყოვლად აუტანელია, სხვისი უბედურების უნე-  
ბური მიზეზი რომ ხარ. დის მწუხარება რომ გავიგე, წარმოვიდგი-  
ნე, მას რა ტანჯვა უნდა განეცადა. მაშინ ჩემთვის ბევრი რამ გახ-  
და ნათელი, რასაც წინათ ვერ მიმხვდარიყავი. ეს სევდა-სიხარუ-  
ლის ცვალებადობა, რომელიც ამელის ემჩნეოდა შორეულ ქვეყ-  
ნებში ჩემი გამგზავრების წინ; ის სიფრთხილე, რომ მოგზაურობი-  
დან დაბრუნებულს აღარ შემხვედროდა და ეს ხასიათის სისუსტეც,  
რომელიც ხელს უშლიდა მის ჩაკეტვას მონასტერში; უბედური  
ასული, უეჭველია, თავის განკურნების იმედს არ ჰკარგავდა! მო-  
ნოვნად აღკვეცის განზრახვას, მორჩილობისგან თავის დაღწევას  
და ჩემთვის ქონების დამტკიცებას გამოეწვიათ ის საიდუმლო მი-  
მოწერა, რომელმაც მე შეცდომაში შემიყვანა.

„ოჰ, ჩემო მეგობრებო! ასე გავიგე, თუ რას ნიშნავს ცრემლების  
ღვრა არა მოგონილი, არამედ ნამდვილი უბედურების გამო. ასე  
დიდხანს გამოუყენებელი ჩემი ვნებანი ამ პირველ მსხვერპლს გაშ-  
მაგებით მივარდნენ; მწუხარებით აღვსილმა რაღაც წარმოუდგენე-  
ლი კმაყოფილება ვიგრძენი და იღუმალი სიხარული განვიცადე,  
როდესაც შევნიშნე, რომ მწუხარება ისეთი გრძნობა არ ყოფილა,  
რომელიც სიამოვნებასავით მალე ჰქრება.

„ამ ქვეყნის მიტოვება უფრო ადრე მოვინდომე ვიდრე ამას  
ყოვლისშემძლე ინებებდა; ეს უდიდესი დანაშაული იყო. ღმერთმა  
ჩემს გადასარჩენად და იმავე დროს დასასჯელად ამელი მომიგზაფ-  
ნა. ცოდვილი ფიქრი და მოქმედება ასე იწვევს უბედურებასა და  
არევდარევას. ამელიმ მთხოვა მეცოცხლა და მოვალე ვიყავ მისი  
ტანჯვა არ დამემძიმებინა. სხვათა შორის (საოცარი ამბავია!) იმის  
შემდეგ, რაც ნამდვილად უბედური გავხდი, სიკვდილი აღარ მინ-  
დოდა. ჩემი ურვა საქმედ გადამექცა, რომელიც ცხოვრების ყოველ  
წუთს მივსებდა: ჩემი გული ბუნებით იმდენად შეზრდოდა დარდ-  
სა და ტანჯვას!

„მოულოდნელად განზრახვა შემეცვალა: გადავწყვიტე ევროპა  
მიმეტოვებინა და ამერიკას გავმგზავრებულიყავი.



„სწორედ იმ ხანში ბ-ის ნავთსადგურში ფლოტს აღგენდნენ ლუ-  
ზიანისთვის; გემის კაპიტანს შეევთანხმდი. ჩემი გეგმა ამელის ვაც-  
ნობე და მგზავრობისათვის მზადებას შევუდექ.

„ჩემი და სიკვდილს ძლივს გადაურჩა; ღმერთმა, რომელმაც  
უმანკო ქალის პირველობის პაღმა მას წინასწარ მიაკუთვნა, ასე  
ნაადრევად მისი წაყვანა არ ინება; აქ დაბლა მას გამოცდა გაუგრძე-  
ლა. ცხოვრების მძიმე გზას ის ხელმეორედ გაჰყვა და ჯვრის სიმ-  
ძიმის ქვეშ მოხრილმა გმირმა ახალ მწუხარებათა შესახვედრად  
გულადად გასწია. ის ბრძოლაში მხოლოდ გამარჯვებას ხედავდა  
და დაუსრულებელ ტანჯვაში — დაუსრულებელ დიდებას. იმ მცირე  
ქონების გაყიდვამ, რაც დამრჩა და რაც ჩემს ძმას დავუთმე,  
აგრეთვე ფლოტის ხანგრძლივმა სამზადისმა და პირქარებმა ნავთ-  
სადგურში დიდხანს დამაყოვნეს. ამელის ამბის გასაგებად ყოველ  
დილით დავდიოდი მონასტერში, სადაც ახალი საბაბი მეძლეოდა  
ცრემლთა ღვრისა და აღტაცებისათვის.

„სულ მუდამ ზღვის პირას აშენებულ მონასტრის ირგვლივ და-  
ვებეტებოდი და ხშირად ვხედავდი უდაბურ ნაპირისკენ გამოჭრილ,  
ცხრილიან სარკმელთან მჯდარს, ჩაფიქრებულ მონაზონს. ის ოც-  
ნებობდა ოკეანეს თვალმიპყრობილი, სადაც ზოგჯერ აფრა გაშ-  
ლილი შორეულ ქვეყნებისაკენ მიმავალი გემი გამოჩნდებოდა.  
მთვარის შუქზეც ბევრჯერ მინახავს ის მონაზონი, სარკმლის იმა-  
ვე გამირებს მიყრდნობილი: ღამის მნათობით სხივ-მოფენილი  
ზღვის მზერით სტკებოდა, თითქოს ყურს უგდებდა ტალღების ხმა-  
ურს, უდაბურ სილიან ნაპირებს სევდიანად რომ ეხეთქებოდნენ.

„თითქმის ახლაც მესმის ღამეში ზარის რეკა, რომელიც მონაზ-  
ნებს ღამის სათევად და სალოცავად მოუწოდებდა. იმ დროს, რო-  
ცა ზარი ზანტად გუგუნებდა და მონაზნები ყოვლისშემძლის სა-  
კურთხევისკენ ჩუმად მიდიოდნენ, მე მონასტრისაკენ გავრბოდი:  
იქ მარტო, კედლების ძირში, წმინდა აღტაცებით შეპყრობილი ვუს-  
მენდი ქებათა ქების უკანასკნელ ხმებს, რომლებიც ტაძრის თაღებ-  
ქვეშ ტალღების სუსტ ჩხრიალს უერთდებოდა.

„არ ვიცი, ეს როგორ მოხდა, მაგრამ ყოველივე იმან, რასაც  
ჩემში ტკივილები უნდა გაეძლიერებინა, პირიქით, მათ მჩხვლეთა-  
ვი ეკლები დაუჩლუნგა. ნაკლები სიმწარე ახლდა ჩემს ცრემლებს,  
რომლებსაც კლდეებსა და ქარში ვაფრქვევდი. არაჩვეულებრივი  
ხასიათის ჩემი ვარამიც თან რაღაც წამალს შეიცავდა: ადამიანს  
ატკობს ის, რაც ყველას კუთვნილებას არ წარმოადგენს, თუ გინდ  
ის უბედურებაც იყოს. ეს იმედს მაძლევდა, რომ ჩემი დაც თავს  
ნაკლებ უბედურად იგრძნობდა.

„ჩემი გამგზავრების წინ მიღებულმა მისმა წერილმა ეს მოსაზრება თითქოს დამიდასტურა. ამელი ჩემი წუხილისთვის ნაზად მტუქსავდა, მარწმუნებდა, დრომ კმუნვა შემიმსუბუქაო. „ჩემი ბედნიერების იმედს არ ვკარგავ, მწერდა, თვით სიდიდე შეწირვისა, რომელიც უკვე დასრულებულია, ახლა რაღაც სიმშვიდეს მანიჭებს. ჩემი მეგობარ-ქალების უბრალოება, ალექმათა უმანკოება და წესიერი ცხოვრება, ჩემი დღეების მალამოა. როცა აბობოქრებულ ქარიშხალს ვუსმენ და ზღვის ჩიტი ჩემს ფანჯარას ფრთებს ურტყამს, მე ცის საბრალო მტრედი ვფიქრობ ჩემს ბედნიერებაზე, რომ ვპოვე თავშესაფარი და გრივალი ვერას დამაკლებს. აქ არის წმინდა მთა, მაღალი მწვერვალი, სადაც მიწის უკანასკნელი ხმაურობა და ცის პირველი ვალობა აღწევს; აქ სარწმუნოება მგრიძნობიარე სულს ნაზად აყუჩებს: უშმაგეს სიყვარულს რაღაც მწველი უმანკოება სცვლის, რომელშიაც საყვარელი ქალი და უბიწო ასული ერთიანდებიან; სარწმუნოება სწმენდს ოხვრა-გმინვას და უმანკო ცეცხლით სცვლის ხრწნად ცეცხლსა. სულის მოუსვენრობისა და ავხორცობის ნაშთს, რომელიც დასვენებას მოწყურებულ გულსა და მიმავალ სიცოცხლეს შერჩენია, სარწმუნოება ღვთაებრივად ურთავს თავის სიმშვიდესა და უმანკოებას“.

„მე არ ვიცი, ცა რას მიქადის, იქნება გამაფრთხილა, რომ ყოველ ჩემს ნაბიჯს გრივალი დაედევნება. ფლოტს გამგზავრების ბრძანება მისცეს. მზის ჩასვლის წინ უთვალავმა გემმა აფრა გაშალა; უკანასკნელი ღამე ნაპირზე გავატარე, ამელისათვის გამოსათხოვარი წერილი რომ გამეგზავნა. შუალამისას, როდესაც წერით ვიყავ გართული და ქალაქს ცრემლებით ვასველებდი, ქარის ხმაურობა მომესმა. ყური დავუგდე; გრივალში საგანგაშო ზარბაზნის სროლა გავარჩიე, რომელიც მონასტრის ზარის სამგლოვიარო რეკას ერთვოდა. ზღვის უდაბურ ნაპირისკენ მივქრევარ, სადაც ტალღების ღრიალი ისმის მხოლოდ. კლდეზე ჩამოვჯექე. იქით მბრწყინავი კუშები შფოთავენ, აქეთ მონასტრის კუშტი კედლები ცაში გაურკვეველად იკარგებიან. ცხრილიან ფანჯარაში პატარა შუქი გამოჩნდა. ოჰ, ნუთუ ეს შენა ხარ, ჩემო ამელი, რომელიც ჯვარცმის ფერხთ გართხმული, ღმერთს ევედრები, რომ უბედური ძმა გრივალისგან დაგიფაროს? ტალღებზე ქარიშხალი ბობოქრობს, შენ საკანში კი სიწყნარე მეფობს; ადამიანები ბრავებზე იმსხვრევიან იმ საგანის საძირკველთან, რომლის მყუდროების დარღვევა არაფერს შეუძლია. საკნის კედლის გარეშე უსასრულობაა; გემების მოქანავე ფარნები, მონასტრის უძრავი შუქურა; მეზღვაურის ბედის დაუდგრომლობა; ვესტალი, რომელსაც განვლილი ერთი

დღით შეუძლია წარმოიდგინოს როგორი იქნება თავისი მომავალი ცხოვრების ყოველი დღე. მეორე მხრით, ისეთი სული, როგორც შენა გაქვს, ოკეანესავით გრიგალიანი; უფრო საშინელი მარცხი, ვიდრე გემის დაღუპვა: მთელი სურათი ჩემს მეხსიერებაში ღრმად არის ამოკვეთილი. ახალი ცის მზეო, ჩემი ცხოვრების ახლანდელი მოწამევ, ამერიკის ნაპირთა გამოძახილნო, რენეს ნათქვამს რომ იმეორებთ, იმ საშინელი ლამის მეორე დღეს მოხდა ეს: უკანა გემ-ბანზე დაყრდნობილი ვუცქეროდი როგორ მშორდებოდა სამუდამოდ სამშობლო მიწა-წყალი. დიდხანს ვუმზერდი ნაპირზე ჩემი სამშობლოს ხეების უკანასკნელ ქანაობას და მონასტრის თავბანდებს, რომლებიც ჰორიზონტს ეფარებოდნენ“.

როდესაც რენემ თავისი ამბავი დაასრულა, უბიდან ქალაქი ამოიღო და მამა სუელს გადასცა; თვითონ შაქტასს მკლავებში ჩაუვარდა და ქვითინს იკავებდა, მისიონერს გადაცემული წერილს წაკითხვა აცალა.

მონასტრის წინამძღვარ ქალს გამოეგზავნა ეს წერილი, რომელიც იუწყებოდა მოწყალების დის ამელის უკანასკნელი დღეების ამბავს; ამელი თავის გულშემატკივრობისა და თავდადების მსხვერპლი გამხდარიყო. გადამდები სენით დაავადებულ ამხანაგ ქალეზის მოვლას გადაჰყოლოდა. განუქარვებელ მწუხარებას მოეცვა ყველა, და ამელის წმინდანად სთვლიდნენ. წინამძღვარი ქალი დასძენდა, ორმოცდაათი წელია, რაც ამ მონასტერს ვუძღვები და ასეთი მშვიდი, დამდგარი ხასიათის მონაზონი ჯერ არ შემხვედრიაო, არც ისეთი, რომელიც ამელიზე უფრო კმაყოფილი ყოფილიყო, ამ ქვეყნიურ განსაცდელს რომ თავი დააღწიაო.

შაქტასი რენეს მკერდში იკრავდა; მოხუცი სტიროდა: „ჩემო შვილო, უთხრა თავის შვილს, ვისურვებდი, რომ მამა ობრი ახლა აქ ყოფილიყო; ის თავის გულის სიღრმეში გრიგალების დამაწყნარებელ რაღაც სიმშვიდეს პოულობდა, თუმცა მისთვისაც გრიგალები უცხო არ იყო; ობრი იყო მთვარე ქარიშხლიან ღამეში: მოხეტიალე ღრუბლებს არ შეუძლიათ თავისი ლტოლვით მისი გატაცება; სპეტაკი და უცვლელი მთვარე წინ წყნარად მისცურავს მათ ზემოდ. ეჰ! მე კი ყველაფერი მალეღვებს და თან მიმათრევს!“

აქამდე მამა სუელს სიტყვა არ წარმოუთქვამს, მკაცრი გამომეტყველებით უსმენდა რენეს. მამა სუელი თავის გულშემატკივრობას მალავდა, გარეგნულად მოუდრეკელი ხასიათისა იყო. საშემის მგრძნობიარეობამ დაარღვევინა დუმილი:

„თქვენს ნაამბობში ისეთი არაფერია, რომ აქ გამოთქმულ სიბრალულს იწვევდეს. მე ვხედავ ქიმერებით გაბრუებულ ახალ-



ვაზრდას, რომელსაც არაფერი მოსწონს და რომელიც ყოველგვარ მოვალეობისაგან ითავისუფლებს თავს საზოგადოების წინაშე, რომ ფუჭ ოცნებას მიეცეს. ბატონო, ადამიანი სრულიად არ ხდება უკეთესი იმით, რომ ის ქვეყნის მხოლოდ საზიზღარ მხარეს ხედავს. ცხოვრება და ადამიანები იმიტომ სძულთ, რომ არა-საკმაო სიწორიდან უცქერიან მათ. ცოტა შორიდან შეხედეთ და მალე დარწმუნდებით, რომ ყველა ეს უბედურება, რომელსაც უჩივით, სულ არარაობას წარმოადგენს. მაგრამ რა სირცხვილია, რომ თქვენს ერთადერთ უბედურებაზეც ვერ გიფიქრიათ გაუწითლებლად. მთელი სისპეტაკე, სათნოება, ღეთისმოსაობა და წმინდანის ყველა გვირგვინი ძლივს ხდის ასატანად მხოლოდ ფიქრსაც კი თქვენს მწუხარებაზე. თქვენმა დამ თავისი ცოდვა მოინანია; მაგრამ, თუ საჭიროა ჩემი აზრის გამოთქმა, ვწიშობ, რომ სასტიკი სამართლიანობისათვის ჭაფლავის წიაღიდან მოსმენილმა აღიარებამ არ შეაშფოთოს თავის მხრივ თქვენი სული. რას აკეთებთ ამ უღრან ტყეში, სადაც ანადგურებთ თქვენს დღეებს და უგულველჰყოფთ ყველა თქვენს მოვალეობას? თქვენ მეტყვით, რომ წმინდანები უდაბნოში ისამარებდნენ თავს. თვალზე ცრემლი არ აშრებოდათ მათ და დროს, რომელსაც თქვენ, შეიძლება, საკუთარ ვნების გასაღვივებლად ჰკარგავთ, ისინი ვნებათა ღელვის დასაცხრობად იყენებდნენ. ქედმაღლო ახალგაზრდავ, რომელმაც იფიქრეთ, რომ ადამიანს შეუძლია მხოლოდ თავის თავით დაკმაყოფილდეს! მარტოობა მავნებელია ადამიანისათვის, თუ ის იმ დროს ღმერთთან არ არის, მარტოობა სულის ძალებს აორკეცებს, მაგრამ იმავე დროს განვითარების ყოველგვარ საშუალებას აცლის. ადამიანმა მისთვის მინიჭებული ძალა თავის მსგავსთა სამსახურს უნდა შესწიროს; ვინც ამ ძალას ვერ იყენებს, ეს მას ჯერ იდუმალად სტანჯავს, და, ადრე თუ გვიან, ზეცა საშინელ სასჯელს მიუზღავს.“

ამ სიტყვებით აღელვებულმა, დამცირებულმა რენემ შაქტასის მკერდიდან თავი აიღო... ბრმა საშემს გაელიმა; ტუჩების ამ ღიმილში, რომელსაც თან არ ახლდა თვალების ღიმილი, რაღაც ციური და იდუმალი იხატებოდა. „ჩემო შვილო, სთქვა ატალას ძველმა სატრფომ, სუელი ძალიან მკაცრად გვესაუბრება; მოხუცსაც და ახალგაზრდას ჰკუთას გვასწავლის. სუელი მართალი არის. ჰო, შენ სუელი უნდა აიღო ამ არაჩვეულებრივ, მხოლოდ ურვა-წუხილით სავსე ცხოვრებაზე. ჩვეულებრივ გზას მივყევართ ბედნიერებისაკენ.

„ერთხელ მეშასებეს სათავეშივე მობეზრდა, რომ ის მხოლოდ ანკარა წყარო იყო. მეშასებე მთებს სთხოვს თოვლს, ნიაღვარს — წყალს, ქარიშხალს — წვიმებს და გადალახავს კალაპოტს, ანადგუ-



რებს თავის ტურფა ნაპირებს, ზვიადი წყარო პირველად კმაყოფი-  
ლია თავისი სიძლიერით, მაგრამ როდესაც დაინახა, რომ იმ ად-  
გილს, სადაც გაივლიდა, უდაბნოდ აქცევდა, რომ მარტოდ დარჩე-  
ნილი მიაქროლებდა ტალღებს და რომ წყალი მუდამ მღვრიე ჰქონ-  
და, დაენანა თავისი მშვიდი, ბუნების მიერ მიჩენილი სარეცელი,  
ფრინველები, ყვავილები, ხეები და ნაკადულები, ოდესღაც თავისი  
წყნარი მდინარების მოკრძალებული თანამგზავრები“...

შაქტასმა ლაპარაკი შესწყვიტა, მეშასებეს ლერწამში მიმალული  
ფლამინგოს ძახილი გაისმა, რაც შუადღისას ქარიშხალის ამოვარ-  
დნას მოასწავებდა. სამივე მეგობარმა ქოხებისკენ გასწია: მისიონე-  
რი ღმერთს ევედრებოდა, ბრმა საშემი გზას ფრთხილად მიიკვლევ-  
და, რენე კი მათ შორის მდუმარედ მიდიოდა.

ამბობენ, რომ ამ ორი მოხუცის რჩევით, რენე თავის ცოლს  
დაუბრუნდა, მაგრამ ბედნიერება ვერ ჰპოვა მასთან. დიდი ხანი არ  
გასულა ამის შემდეგ, რომ რენე შაქტასსა და მამა სუელთან ერთად  
დაიღუპა ლუზიანაში ფრანგებსა და ნატჩესებს შორის მომხდარ  
სისხლის ღვრის დროს. ახლაც გვიჩვენებენ იმ კლდეს, სადაც ჯდუ-  
ბოდა რენე მზის ჩასვლისას.

თარგმანი ფრანგულიდან

ბროდიონ ქავუარაძისა.

## პრეპარატი

1

„...ღმერთო, დამწვი, დამანელე,  
მიწავ წიაღს ჩამიტანე,  
მზეო შუქი დამიბნელე —  
ღლე რად მინდა ამისთანა...  
ჰე, წმინდაო, შენს წინ ვძრწოდი,  
თავს მეთარა ლამი, ქვიშა...  
რა გაწყინე, რა შეგცოდე  
ვაჟი რატომ გამიგიჟე?!...  
იახსარო, გძღვნიდი ვერძებს,  
გლოცულობდი ღლეცისმარე,  
ეს ღლე რისთვის მომაკერძე —  
რად დამიხზე ზეცისკარი?!...  
ხალხო, თალხი მომახვიეთ,  
ხედავთ, ხვედრი ამიხევდა,  
შევრცხვი ამლას და ახიელს.  
დადგა ელვა მცხებების დროს,  
მტკიცედ, ვაჟო არხეატელო,  
ხელში ხმალი გამიხევდა...  
„შვილო გიგი, რა დღისა ხარ,—  
თავზე მიწა მოიყარე,  
მსწრაფლ პირჯვარი გადისახე,—  
დაჯექ, მუხლი მოიყარე.  
კვირას ვუკლავთ კრავს უმანკოს,  
შენუკვე კრძალვით კვირას:  
განმკერძეო მე ეშმაკო,—  
შეუკეთე ცხელ საკირეს.  
შვილო, ენდე საშიშ მამის  
გარდაუვალ წინათგრძნობას,  
რისთვის უვსებ სასმისს შხამით —  
ვინც ვინატრა, ვინაც გშობა?

გულს ნათელი შემომინთე  
მ'მობლურ მადლის სამსახურად,  
განიმიჯნე ოჩოპინტე,  
მავნენი და მადახურა.  
ხომ შვილი ხარ, ქუდს მოგიხდი,  
შენს წინ მუხლით დავემხობი,  
მხოლოდ მიხვდი... მხოლოდ მიხვდი,  
რომ ხატია ცხოველმყოფი...  
მიხვდი. მუხლი მოიხარე,  
რად ირჯები მეხვეისფრად,  
გახდი ეშმას მოსისხარი  
და იახსარს ეხვეისბრე.  
მიხვდი, — თორემ დაისვენებს —  
გული ტყვიით ნათენტავი:  
მე დაგბადე და ისევ მე  
დაგიხუჭავ ნათელ თვალებს...“

გიგი, ბედი დაგეთარსა  
ორი მხარის შეხვედრის დროს,  
კომკავშირი იახსარსა  
როგორ უნდა ეხვეისბროს!..  
ვაჟავ, გული გაიკაჟე,  
ნაგონარი განაცხადე,  
ცარიელი ხმლის ქარქაში  
ვედოს ბრძოლის დანაცვრამდე.  
შინ ხმალი ხარ უქარქაშო  
ღმერთთან ომში ამოწვდილი,  
ხვეისბერის ერთო ვაჟო,  
მოემზადე გამოცდისთვის.  
მესამე გზა არ სჩანს არსად,  
დადგა ელვა მხეხების დრო,  
კომკავშირი იახსარსა  
როგორ უნდა ეხვეისბროს?!..  
ხედავ, ხალხი გალურსული  
შემოგცქერის ზარდაცემით,  
დგანან ბაგე დალურსმული  
მოხუცნი და თავკაცები.  
მტკიცედ, ვაჟო არხვატელო,

რაა თავის გადაღება,  
ერთმა უნდა გადათელოს  
თეთრი მთების ადათები:  
ეს პირველი შენ ხარ გიგი,  
მაგრამ მარტო არასოდეს,  
გვერდს რვა გიდვას, აქეთ — იქით,  
ვინც შეხვდება ქარაშოტებს.  
ეს რვა იბიჭი წვერაშლილი,  
ეს რვა ვაჟი შენი კბილა,  
ეს არხვატის კომკავშირი  
შენს საშველად წამოშლილა.  
თქვენ ცხრანი ხართ არმესურნე  
ამ ხატობის თუ ღრეობის,  
დაუმტკიცეთ ამ ხევისურებს  
ახსარის უღლეობა.  
გიგი, კრავი შემოგცქერის —  
თეთრი, თითქო ნისლი არი,  
თვალში უდვას მცირე ცრემლი,  
ალარც მთუ სისხლი არი.  
შენ რად გინდა მისი სისხლი,  
ვერ აგაცდენს მანე ხიფათს,  
სიკვდილისგან ვერ დაგიხსნის  
თუ კი თვითონ თავნები ხარ.  
უთხარ სიტყვა შესაფერი,  
რა დრო თავშეკავებისა,  
არ და იყავ ხევისბერი  
და ჯალათი კრავებისა!..

„ — ხევისბერო, ნუ ხარ ხელი,  
ვერ შემაკრობს რისხვა შენი,  
ინისლება მუხა ხმელი  
ახალ ყოფის რიჟრაჟებში.  
როგორც გინდა შემევედრო,  
მტკიცე არის ერთხელ თქმული,  
გინდა ხარი დამახვედრო  
და თასები ჩამოდგმული, —  
ვერ ვიწამებ, რადგან მიწვდი



ნათელ ყოფნის ჰორიზონტებს,  
ვერ ვიწამებ, გინდ დავშიწდებ  
და გზა მზემდებ შორი მქონდეს!..

ხევისბერო, ნუ ხარ ხელი,  
ვისთვის გინდა თოფში ვაზნა?  
იქნებ სჯობდეს ტყვია ცხელი  
საკუთარ თავს უთავაზო...

კაცო, იქნებ განგვიმართო  
ეგ ბოდვა და გაგიყება,  
ერთი ვაჟი რომ წაართვა,  
რალას ეტყვი მაგის დედას.  
შვილს უმიზნებ სვედაცლილო,  
ის კი ღიმილს არ იშორებს  
და ქვადქცეულ მლოცველებში  
მხოლოდ სიო შარიშურობს.

— ხევისბერო, ეხსენ ხირიმს,  
თორემ სახიფათო არი,  
აქ რვანი დგან ვეფხებივით,  
განა გიგი მარტო არი?  
ასე. დასთმე თოფი, თორემ  
არც სხვა არის ნაცივარი,  
რომ დასტორო, — შენც დაგტორვენ  
კაცო, ყველა კაცი არი.  
ხევისბერო რვას რას ერჩი,  
გაუწყერი შენს ხატიონს,  
მაგათ ხელით არ შეეხო,  
სხვა ყოველი გეპატიოს“.

წადი გიგი, განაპირდი.  
იყვირებს და დამშვიდდება.  
ხედავ, — ბანზე დედა ტირის, —  
გზა არა აქვს ხატში დედას.

ცა იცინის მოცეკლილი,  
მზეც სხივთა ვერცხლს არ იშურებს —  
და ქვად ქცეულ მლოცველებში  
მხოლოდ სიო შარიშურობს.

ხევს რომ მისდევს თეთრი ნისლი,  
 ნისლია თუ ბატკნის ფარა,  
 თოვლი აწევს მთათა კისრებს  
 და სალამო ატმისფერი.  
 ეს არაგვი ზვირთქაუჭაფა  
 ნეტავ ვილამ გააჯავრა?!  
 საით მიდის, სად ისწრაფვის,  
 საით მიაქვს ქვების დავლა?  
 რა ჯავრი კლავს ნეტავ ამ კლდეს,  
 რად მისულა გარინდვამდე?  
 ერთი შვილი რომ დააკლდეს,  
 დედა ამდენს არ იღარდებს.  
 მზევე, როს კვდები — სხივალური,  
 ვიცი სისხლი ჩაგიძღვება,  
 მაგრამ შენი სიხარული  
 ისევ სისხლით სად იწყება.  
 ნისლი... ნისლი განუყრელი  
 არხვატს ერთყმის ჩაბალახად,  
 მშობლიური მთების ყელი  
 ნეტავ ერთხელ დაგანახვა...  
 გასწი, გიგი, მალლა მწვერვალს —  
 მზე ამორებს სხივთა მარჯანს,  
 მთიდან მთამდე სიჩუმეა  
 და შენს გარდა კაცი არ ჩანს.  
 გასწი, — ყოფა სამარული  
 ამ მიდამოს ბედი არი,  
 მოგდევს სიოს სალამური  
 და საგონო სევდიანი.  
 მრავალფერი ფარჩა მთების  
 ფერხთ გეშლება ფიანდაზად,  
 იქ არხვატში დედა გეძებს  
 და ნისლები დიან დასად.  
 იქ არხვატში მთვარეულქამს  
 ცრემლიანი გეძებს დედა,  
 გასწი, გიგი, არა უშავს  
 იტირებს და გაჩუმდება.  
 ზღვიდან თევზი ზღვას გასცურავს,

თუ კი სატრფო იქ არ ნახა.  
და შენც გასწი ვაჟკაცურად —  
როგორც გულმა გიკარნახა.  
ცოდნა — თევზი, შენ — მიჯნური  
და ქალაქი ოკეანე,  
თევზს დაიჭერს მებადღური  
მაგარ ბადე-თოკიანი.  
გვერდზე წყარო მოჩქრიალებს,  
თითქოს მთები მღერიათ,  
იქ, — ქალაქში მზე ცქრიალებს,  
იქ არც ხევის ბერი არი.  
იქ შრომა და სიხარული  
აქლერებენ ერთად სიმებს.  
შენც მონახე ის ფერხული —  
იშრომე და იზეიმე.  
გსურდა ბრძოლა, გმობდი წუწუნს, —  
აჰა, ესეც მოედანი,  
ნუ შეგერგოს დედის ძუძუ  
თუ აუგი მოიტანე!!!

შორს გორი გორს მისდებია  
(ასხლტა ნისლი ფრთებიანი),  
იქ, გადაღმა ქისტებია,  
აქ — არხვატის მთები არი, —  
შეუხსნიათ არტახები,  
კვლავ ჩიბუხებს აბოლებენ,  
ერთხელ კიდევ გადახედე  
და ეს იყოს საბოლოო.  
გასწი, გულში ჩაიწერე —  
მთათა ბედის ხარ თავდები,  
დაეჯარე უკვე მწვერვალს  
და აღმართიც გათავდება.  
იქ, — მწვერვალზე ქრის და გრილა,  
სჩანს აჩრდილი ნაბდიანი,  
ეს კლდე არის წამოხრილი,  
თუ ძნელადის ლანდი არი...  
თითქოს გესმის მოძახილი.  
დგას ამაყად ჰორიზონტზე,

ხელებს გიქნევს — ბოძალივით,  
გამხნევებს და მოგიწოდებს,  
მაგრამ ვაი, ჩემო გიგი  
(ნეტავ იჭვით არ იწოდე),  
ის სულ იდგა წინა რიგში,  
მან გაქცევა არ იცოდა...  
გასწი გიგი, რად შეჩერდი,  
გზა ხომ არ გაქვს აქცეული...  
დაჭიჯერე აწ მეც ერთი,  
ბიჭო, არ ხარ გაქცეული!!  
გახსენ გული ჩახვეული  
და გუნება ჯავრიანი,  
ვეფხის — უკანდახეულის —  
წინ ნახტომი მძლავრი არი.  
შენ ვეფხი ხარ, — და არხვატში  
რვა ბოკვერი ჯერაც დარჩა...  
ბინდი შავი ჩაფხუტებით  
მთებს უთალხავს ფერად ფარჩას.  
გასწი, — ყოფა სამარული  
ამ მიდამოს ბედი არი,  
მოგდევს სიოს სალამური  
და საგონი სევდიანი...

3.

სად ხარ, გიგი, დედა ოხრავს,  
დედას აღრჩობს ზღვა-ნალველი,  
მესამე დღეს რად არ მოხვალ,  
თუ მთასიქით გადახველი.  
ბიჭო, ან თავს გაიტეხავს,  
ან უფსკრულში დაქანდება,  
კაცო, დედას ერთი ყევხარ  
და უშენოდ რა ქნას დედამ?!..  
მოდო სახლის დამამშვენო,  
შე ვაჟკაცო დარკინულო,  
მიწისფერი მამაშენიც  
უხმოდ ზღურბლზე გაყინულა.  
დღეს ხევის ბერს სულაც არ გავს:  
ჯვარი, დროშა სად ჩანს აბა,



ერთი ვაჟი დაეკარგა —  
რა ჯვარი და რა ჯანდაბა!!?  
შეგროვილა მთელი თემი,  
შენი კვალის გასაგებად,  
მოხსნილია ანათემა  
და ხევისბრის ქადაგება.  
მოდო, ბიჭო, დედასთან ჯობს,  
სახლში კაცი ლალი არი,  
თემი უქმად არ დასტანჯო:  
ამლა, ჭიღმა, ახიელი,  
გიგი, ცხენებს შემოახტნენ,  
თათბირს კიდევ ათავებენ —  
და მერნები დარახტულნი  
გლეჯენ ჯაჭვის სადავეებს.  
ეს რვა ვეფხი რას აპირებს  
(აქ გლოვა თუ დოღი არი!)  
რატომ დგება ნაპირ-ნაპირ  
სახენათელ-მოღიმარი?!  
არც კაზმავენ ბედაურებს,  
ერთიც ფარ-ხმალს არა ბლუჯავს,  
დაეკარგათ მეთაური.  
და ეს ნუ თუ არად უჩანთ?!  
აგერ, — ერთი აღიმართა —  
(შეაჩერე, დედი, გლოვა):  
„ — გიგი ქალაქს გადავარდა  
და კარგა ხანს აღარ მოვა...“  
ვახ-მე გიგი, დედა ოხრავს,  
დედას აღრჩობს ზღვა-ნალველი.  
ქალაქს წახველ?!.. — როსლა მოხვალ?  
ვახდი ძვირი სანახველი...

#### 4.

ღრეობს ხალხი ლუდარაყით,  
ხატის კარზე მოგროვილი,  
„ — შასვი ლუდი, — თუ დანაყრდი, —  
ნადენია ოქროს მილით!!“  
მოდის — მიდის ვერცხლის თასი,  
ხატიც ღრეობს ჯვაროვანი,

„ — თუ დანაყრდი, კიდევ შასვი, —  
ლუდი სულის წყარო არი!!“

მიდის-მოდის ვერცხლის თასი —

„ — შესვამ და გულს ვერ იჯერებ!... —“

დაიცალა მეთათსედ

და გაივსო იმდენჯერვე.

სძინავთ ლუდში ნაბან კაცებს, —

სახე მშვიდებს მლოცველივით,

ზოგი უხმოდ დაბარბაცებს,

ზოგი წვება მოცელილი.

მიდის-მოდის ვერცხლის თასი,

„ — ნუ ააცდენთ ნურავისა...“

— შასვი ვაჟო, კიდევ შასვი —

ვსთქვათა სიმღერა ზურაბისა...“

„ ზურაბო ერისთვიშვილო,

შვიდსამც წელსა ხარ სნეული,

მეშვიდეს წელსამც მახკვდები

ს. მამრის ხელმარეული...“

ცვრებად სცვივა ლუდი კალთას.

მიწას რწყავს და აღარ დაშრა,

აგერ ვიღაც აღრიალდა

და აბრწყინდა მზეზე დაშნა.

ხმაღმა დასჭრა ჩაბალახი,

საფეთქელი მიამტვერა,

მოსჩქევს სისხლი, — და ბალახი

აფერადდა ჭიაფერად.

მიდის-მოდის ვერცხლის თასი,

ელავს ლუდი ლალისფერი,

„ — ჩუმად ხალხო, — სევდით სავსე

ილოცება ხევისბერი.“

(ნალველს ახლა ლუდში არჩობს,

გახდა სასმლის მიმდევარი):

„ — ჩემს დაკარგულს გაუმარჯოს

თუ კი სადმე კიდევ არი...“

ვკვდები ხალხო, მდალავს დარდი,

სჩანს უმისოდ დავმიწდები,

რაც ქალაქში გადავარდა,

დღეს შესრულდა სამი წელი...“

„ — შევეათ!.. ცხვირს ყოფს ჯამში, — მთვრალი —  
შეტი არა გვაკლია-რა...“

სუფთა, როგორც ბავშვის თვალი,  
იცივება ცა კრიალა.  
რთავს მნათობი მთათა კალთებს,  
ირგვლივ ყრია ოქროს დავლა.  
დვას მწვერვალთა თეთრი სალტე  
ცას და ქვეყნის შუამავლად.

უცებ ხალხი აიმრიზა,  
შეშფოთდა და აიშალა,  
გადმოიქრა საიჩმიდან  
ხმამქუნარი ქარიშხალა.

ნაკერ ღრუბელს ვერსად ნახავ,  
რის მეხი და რა გრიალი???

სუფთა. როგორც ბავშვის სახე,  
იცივება ცა კრიალა...

ხალხი საგონს მისცემია,  
ზოგი ჩუმად ხანჯალს სინჯავს,  
სხვები მუხლზე დაცემულან  
და იწერენ შიშით პირჯვარს.

სოფლად ერთი სოდომია:

ისმის ოხვრა, მოკივილი,

„ — ღმერთო გვიხსენ, ცოდონი ვართ,  
ეს რა რისხვა მოგვივლინე??..“

ძრწოლით ზეცას გასწივიან

დედაბრები დორბლიანი,

ეს არც რუხი არწივია,

არც თავთეთრი ორბი არი...

„ — თუ ესროლეს ზეცას სახლი,  
ფრენა ვილამ შეუთვალა?!.. — “

მნათობს შესთხოვს თეთრი ძაღლი:

ძიშველეო — ოქროთვალა.

დაბარბაცებს ხევისბერი:

„ — სად ხართ, ვაჟნო, ჩაუქებო?!..“

თრთის წარბები ებერება

და ბუტბუტებს გაუგებარს.

სოფლად დადის კომკავშირი

და გასძახის ზავიანად:

„ — დაშოშმინდით.. ჰო, დამშვიდდით,  
ეს ხომ თვითმფრინავი არი, —  
ფოლადისგან ნათალია...“

მაგრამ ვილას ეფერება:

„ — განა ყველა მართალია,  
რაც წიგნებში ეწერება?!!  
მთლად ქვეყანა დავიარე.

ძაუგს ვიყავ. ცხრა წელია...“

„ — ხალხო თვითმფრინავი არი,  
ზედ ვარსკვლავიც აწერია...“

სოფლად ერთი სოდომია,  
ისმის ოხვრა, მოკივილი,

„ — ღმერთო გვიხსენ, ცოდონი ვართ,  
ეს რა რისხვა მოგვივლინე?!!.

თუ ესროლეს ზეცას სახლი,  
ფრენა ვილამ შეუთვალა??! —

მნათობს შესთხოვს თეთრი ძაღლი:

შიშველეო — ოქროთვალა...

დაბარბაცებს ხევისბერი —

და გაჰკივის კილით-კიდე:

„ — იახსარო, დაგვიხსენი,

შზეს სატანა წაგვეკიდა...

რას იზამენ კაცის ძენი —

თუ მნათობი ჩაუქრებათ,

იახსარო, დაგვიხსენი —

ჰაუ, სად ხართ ჩაუქებო?!!“

კომკავშირი მირბის-მორბის,

ხალხში იჭვის კოშკებს ანგრევს,

ზეცას სერავს რკინის ორბი

და აყრუებს მათა საანგრებს.

„ — ო, ეშმაკო, რად დაგვთარსე,

გაშბი ეშმაკ კუდიანო:

თეთრი ორბის მაგარ ფრთაზე

კაცი დადგა გუდიანი?!!“

ჰოი ღმერთო, გადმოეშვა, —

და მიწისკენ მიდის თავით... — “

ხევისბერი ანჯღრევს ეჟვანს:

„ — იახსარო, მოგვიტევე!...“



უცებ ქოლგა გაიშალა, —  
თეთრი ქოლგა, — გვირგვინ-ფართე  
„ — ეს რა არის კომკავშირო,  
აბა ესეც განგვიმარტე...“  
ჰე, არხვატის კომკავშირო,  
წამით წამით აუგს ელი: —  
თეთრი ქოლგა გადაშლილი:  
შენთვის რჩება აუხსნელი...  
გინდ სიცოცხლის წუთზე გაცვლით  
აუგს დასდევ საფარველი...  
...თეთრი ქოლგა... კუღზე კაცი...  
და მიწისკენ სწრაფვა ნელი???

ხევისბერო, ნუ ხარ ხელი,  
რისთვის გინდა თოფში ვაზნა,  
იქნებ სჯობდეს ტყვია ცხელი  
საკუთარ თავს უთავაზო...  
... — ერთი ასცდა... ასცდა ორი  
კვლავ ჩახმახმა დააკვნესა...  
დაიკლაქნა ქოლგის ქორი  
და გაისმა შორი კვნესა...  
ბერო, გერტყმის ვეფხთა რკალი,  
„ — მოგვეც თოფი, — ეშმაკ თეთრო,“  
„ — ხალხო ხელი მიკანკალებს,  
მაგრამ მგონი მოვახვედრე!!...“  
ისევ მოდის ქოლგა შლილი,  
თეთრი ქოლგა, — ნისლისფერი.  
„ — მოხვდა...“ — ოხრავს კომკავშირი  
„ — მოხვდა!!!“ — ხარობს ხევისბერი.  
იქ არწივი წრეებს სწერავს,  
დასტრიალებს ქედებს მოხრილს,  
შემდეგ წყრება... სწუხს... და მწვერვალს  
ეფარება მდევის ოხვრით...  
დაახლოვდა თეთრი ქოლგა,  
მალლა დარჩა შორი ზეცა,  
აჰა, სახლებს გაუსწორდა  
და მინდორზედ დაიკეცა.  
მოფრენილი მიწას ასცდა,  
მოეჭიდა მწვანე ღვიას,

წასდგა ფეხი... დაბარბაცდა  
და მოსხლეტით ჩაიხვია...

5

ჰოი, ჩემო ქალაქელო,  
დაგდებია ფერი ნაცრის,  
სივრცეები გადმოქელე,  
მაგრამ დახვდა მამა მკაცრი:  
ფერმიხდილი სახის მჩენი,  
მლიმარი თუ თალხიანი, —  
თავით გიზის დედაშენი,  
ირგვლივ სოფლის ხალხი არი.  
გიგი, დედამ აღარ იცის  
გრძნობა როგორ დაითიროს,  
შენი მოსვლით ლხინს მიეცეს,  
თუ ეგ დაჭრა დაიტიროს?..  
გული ველარ დაიმშვიდა,  
მოხუცს სწყყევლის მესამოცედ:  
— აღარც აბჯარს ჩამოსცილდა,  
აღარც მოკვდა ეს სამიწე!!  
ჰოი, გიგი, გულდამწვარო,  
არხვატელო შევარდენო,  
ხევისბერის ნათოფარო  
და მიწაზე დავარდნილო.  
ქრება ყოფა ცრემლიანი,  
იცრიცება დღე იმისა,  
ეს ქვეყანაც ველი არი  
ბრძოლისა და ზეიმისა.  
მედგრად, ბიჭო არხვატელო,  
მოშუშდება ნატყვიარი,  
იახსარსაც გადასთელავ,  
თუ ზენიტი დაიპყარი.  
ოცი ვეფხი წვერაშლილი  
შემოგვეცქერის თვალში ძმურად,  
ეს არხვატის კომკავშირი  
გაზრდილა და დარაზმულა.  
წელან მამა თავს იკლავდა:  
მომწყინდაო ყოფნა მყრალი,  
კომკავშირმა კვლავ იმძლავრა

და აბჯარი ჩამოჰყარა,  
უთხრა: — მოგვეც იარაღი,  
გქონდეს კიდეც მწუთხე ყოფა;  
შენი თვალით დაინახე  
იახსარის უღლეობა.

აგერ ახლა, — ზის და ქანდაკს  
მოჰგავს. — ადევს ფერი მიწის.  
ეჰ, მისი მზე ძირს დაქანდა  
და რას ფიქრობს ვერვინ იცის.  
ზოგჯერ გიმზერს ქადაგივით,  
ცის მმუსრაო შევარდენო,  
ხან ღრუბელი გადაგივლის,  
ხან ლოდები გევარდება.

ფიქრობ... უცებ რალაც ჯავრმა.  
გული მტკიცედ შემოსალტა,  
შენმა ზეცის თანამგზავრმა  
მიღწია ქისტეთს ალბათ.  
ისიც ქოლგას შენებრ გაჰშლის  
გულს მოსტაცებს მიწის ქება,  
ჰე ვინ იცის ჯარეგაში  
მასაც ტყვია შეეგება.

მაგრამ ბრძოლის წაუგებლივ —  
გწამს და გჯერა, არხვატელო:  
კომკავშირი ჭიუხებშიც  
მძლედ გაიტანს თავის ლელოს.  
„ — ხატისკაცო, ამაყ მზერით  
აჯერებდი ზეცის თალებს,  
მაგრამ ღმერთი ამაზრზენი  
ერთხელ თვალით ვერც კი ნახე —  
და ლოდინის დღეთა ურვა  
გათეთრებდა მოგვიანოდ.  
ჩვენ კი რკინის მეთაურმა  
ციდან ცეცხლი მოგვიტანა!!!“

„ — საით მიხვალ, ხევისბერო,  
რისთვის კაზმავ ლურჯა ქურანს?!!  
ღვთისკაცობა შეიფერე, —  
შეეხიზნე ბურჯად ბურანს!!!“  
„ — არა, ხალხო, დაე კენტად

დარჩეს ჩემი იახსარი:  
აქ მას კარი დაეკეტა  
ყოფა მისიმც იალს არი...  
დღემდე პატივს ვანიჭებდი,  
ვასალებდი ზეცის მკვიდრად,  
განა სტყუით, — თვალი ჩემი  
მაგის ცდაში დაილიბრა.  
ლოცვით თავტვისს ვიწყალებდი,  
გული რა ხანს ვაიმედე.  
არ მეჩვენა და წყალობაც  
ჩემთვის აღარ გაიმეტა.  
შემიბრუნდა, გამეთიშა  
(ლოდინით რომ გადამლია).  
ჯერ ვაჟკაცი გამიგიჟა  
და მერე მეც გადამრია...  
გადამრია და დავთოფე  
ერთადერთი ნაშიერი,  
ჯოჯოხეთში გადავტოპე,  
ჩემი ყოფა რაში არი...  
გულში შური ჩამისახლდა,  
წავალ, აღარ მენაღვლება,  
ზვალ დავაღწევ ბარისახოს  
და მთავრობას ვეახლები.  
(ვხედავ ყოფა მისი ქრება,  
ვინც ცხოვრებამ ჩამოტოვს).  
თუ დამსაჯეს, ის იქნება,  
აქ ექიმი მაინც მოვა...“





ლიმიტრი ბენაშვილი

## ნიკოლოზ ბარათაშვილი

„მინდა რომ ვიყო ვარსკვლავი, განთიადისა მორბედი.“

ოთხმოცდაცხრამეტი წელი შესრულდა ქართველი გენიალური პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალებიდან. თითქმის შთელი საუკუნე ჩადგა ჩვენს ეპოქასა და დიდებულ მეოხანს შორის, მაგრამ დრო და მანძილი არამც თუ არ გვიშლიან ხელს ბარათაშვილის შემოქმედების გაგებასა და ხილვაში, არამედ დიდების შარავანდედით მოსავენ მას და ჩვენ წინაშე სდგება თავისი მარად უჭკნობი სახით.

განსაკუთრებულ ეპოქაში მოუხდა ცხოვრება და მოღვაწეობა ნიკოლოზ ბარათაშვილს. ეს იყო დრო, როდესაც ქართველმა ხალხმა კავკასიის სხვა ხალხებთან ერთად, დაკარგა პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობა. ტანჯვა, წამება, ცრემლი და სისხლი ხალხის მუდმივი თანამგზავრი გახდა. დამპყრობელი ძალის ზეგავლენით ნელი პროცესით დაიწყო ეროვნული ორგანიზმის რღვევა. ნაციონალური თვემოყვარეობის შელახვა, პოლიტიკური უფულებობა, ერის შიგნით საზოგადოების მოწინავე ნაწილის დაქვეითება და გახრწნა, უკულტურობა, ჩამორჩენილობა, ერთმანეთის გაუტანლობა, გამუდმებული შფოთი „ჩინორღედენებისათვის“ და ამ ნიადაგზე სულიერი დაცემა საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილისა, უიმედობის რკალში ამწყვდევა იმ ადამიანებს, რომლებიც მაღლა იდგნენ ამ უნუგეშო მდგომარეობაზე. ეს ადამიანები ობლად, მარტოდ-მარტო გრძნობდნენ თავს. ეს იყო

შიზეზი იმ საშინელი გულსტკივილისა, რომელმაც ბარათაშვილს ათქმევინა: „მაგრამ სულ ამაოა ჩემთვის. ეს ღამეც წავიდა, ვითარცა სიზმარი. კიდევ მამნახა ჩემმა ჩვეულებრივმა მოწყენებამ. ვისაც საგანი აქვს, ჯერ იმისი სიამოვნება რა არის ამ საძაგელს ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, რომელიც, შენც იცო, დიდი ხანია ობოლი ვარ. -არ დაიჯერებ, მაიკო! სიცოცხლე მამძულეებია ამდენის მარტოობით. შენ წარმოიდგინე, მაიკო, სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაცა, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდევ ვერ ვის მიჰკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ სავესე და ვრცელს სოფელში! ვინც მალალის გრძნობის მექონი მეგონა, იგი ვნახე უგულო; ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას სული არა ჰქონია; ვისიც გონება მწამდა ზეგარდმო ნიჭად, მას არცა თუ განჰსჯა ჰქონია; ვისიცა ცრემლნი მეგონებოდნენ, ცრემლად სიბრალულისა, გამომეტყველად მწვენიერი სულისა, თურმე ყოფილან ნიშანნი ცბიერებისა, წვეთნი საშინელის საწამლავისა! სად განისვენოს სულმა, სად მიიღროიკო თავი?“...

ბარათაშვილის ეს სასტიკი განსჯა რეალური ანარეკლია იმ უნუგეშო მდგომარეობისა, რომელიც შეიქმნა მე-18 საუკუნის დასასრულისა და მე-19 საუკუნის დასაწყისის მიჯნაზე. ბარათაშვილის პირით აქ ლაპარაკობს „უსყიდელი მსაჯული“, რომელსაც აქვს უნარი არა მარტო არსებული მდგომარეობის გაგებისა, არამედ შესწევს ენერგია და ძალა ამ მდგომარეობის წინააღმდეგ ბრძოლისა. ბარათაშვილი ლეოპარდით როდი დასცინის ადამიანის ბრძოლას თავისუფლებისთვის, პირიქით-იგი ბაირონის მსგავსად ეძიებს გამოსავალ გზას უნუგეშო მდგომარეობიდან. „ახლა მე იმას ვამბობ, სწერდა ბარათაშვილი გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილ წერილში, -რომ მე შინაგანი ხმა მიწევებს საუკეთესოს ხვედრისაკენ. გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებულიო! ნუ გძინავსო! მე არა მძინავს, მაგრამ კაცი მიხდა, რომ ამ პატარა ღრე-კლდეს გამიყვანოს, და დავდე გამლილს ადგილს. ოჰ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ, რა ხელმწიფურად გადავხედავ ჩემს ასპარეზსა!“.

მაგრამ სად იყო კაცი, რომელსაც შეეძლო ნიკოლოზ ბარათაშვილის გამოყვანა უღრანებიდან-შარაგზაზე! მწუხარე დრო უძლური იყო ამგვარი ადამიანების დაბადებისთვის. იმ ეპოქაში ბარათაშვილის ამაყი ხმა დარჩა „ხმად მლალადებლისად“. პოეტის პირადი ცხოვრებაც მეტად უნუგეშო იყო. ოჯახური ყოფა ბარათაშვილისთვის ბორკილად გარდაიქცა. „ქსთხოვე (მამას — დ. ზ.) უნივერსიტეტში მაინც

გაგზავნა... არც ეს შემისრულეს. უბედურების გამო, მამაც ამ დროს ავად შეიქნა და ავადმყოფი, ჩემს თხოვნაზე ასე მეტყობდა: „შვილო, ხომ ხედავ შენის სახლის გარემოებასაო, იქნება მე ველარცკი გავაწიო ამ სნეულებასაო, შენს სახლს არ უპატრონებო?“ ამის შემდეგ გული აღარ იყო, რომ კიდევ შემეწუხებინა მამა ჩემის თხოვნით დავრჩი ისევ ჩემ მამულში; განვჭწესდი სამსახურში და დაუმორჩილდი ჩემს მკაცრს ბედსა, თუმც ხანდისხან ჯავრით დავაპირებ ხვალმე მასთან შებმას: ან ჩემი ბედი და ან ჩემი რუსვილის აღსრულება?“

ასე კვნივდა იმ ადამიანის გული, რომელიც მოწოდებული იყო დიდი ხვედრისათვის. მაგრამ ვერც საზოგადოებრივმა უნუგეშობამ და ვერც პირადმა ტკივილებმა ვერ შეუცვალეს მიმართულება ნიკოლოზ ბარათაშვილის გენიას. მწუხარე დრომ მხოლოდ თავისი დიდი დასვა პოეტის შემოქმედებას და თავისებური ელფერი მისცა მის მარად უკვდავ ქმნილებას.

\*

\* \*

შოთა რუსთაველის შემდეგ ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართული ლიტერატურის ისტორიაში. დიდებული მგოსნის ფრთებ ქვეშ გაიზარდა და დავაჟაკდა მე—19 საუკუნის ქართველი ძარღვმეგარი მწერლობა. აღორძინების ეპოქაში საბა-სულხან ორბელიანისა და დავით გურამიშვილის დაწყებული საქმე ქართველი კულტურის ევროპიზაციისა, ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ გამარჯვებით იქნა დაგვირგვინებული. როგორც ცნობილია, ქართული კულტურა საერთოდ, და მწერლობა კერძოდ, ბარათაშვილამდე სპარსული პოეზიის ორიენტაციის ქვეშ ვითარდებოდა. თვით დიდი მგოსნების—ალექსანდრე ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის პოეტურ ხმაშიც კი იგრძნობოდა აღმოსავლური კილო. —მხოლოდ ნიკოლოზ ბარათაშვილის გენიამ შესძლო ქართული პოეზიის რადიკალური მობრუნება მოწინავე, ევროპულ პოეზიისაკენ. აღმოსავლური პოეტური უზრუნველობა ბარათაშვილის ლექსებიდან სრულიად ზანდევნილია. მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურის ისტორიაში ბარათაშვილი გვევლინება, როგორც ევროპული ტიპის შემომქმედი, რომელსაც აქვს არა მარტო მოვლენებისა, საგნებისა და ადამიანების ხილვის უნარი, არამედ შესწევს ძალა ამ ხილვადობის ნათელი გამოხატვისა. ნიკოლოზ ბარათაშვილი ევროპული ტიპისა და მასშტაბის პოეტია, არა მარტო იდეებისა და პრინციპების სიღრმით, არამედ ლექსის ტექნიკითაც. იდეებისა და



ფორმის სიახლეემ ქართულ პოეზიიდან სრულიად განდევნა სპარსულ-ლო კილო. პოეტური კულტურის აღორძინების ეს პროცესი ორგანიულად იყო დაკავშირებული ქართული ხალხის საერთო განვითარებასთან. ერის სასიცოცხლო ძალების გონებრივი ამაღლება ხელს უწყობდა ბარათაშვილის მეტყველ მუზას ეპოქის შეგნებისა და მოვალეობის სიმალლეზე ასვლაში.

ზემოდ ვთქვით, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილმა ქართველ პოეტურ სიტყვას ახალი იდეური სიღრმე და ესთეტიური ელვარება მიაწია. მართლაც რუსთაველს შემდეგ არცერთ პოეტს ფრაზის პოეტური სურნელება არ უგრძნია ისე, როგორც ეს შეიგრძნო ბარათაშვილმა. მან ჯადოსნური ძალით იცოდა სიტყვის პოეტური ბუნება. სიტყვათა შერჩევის დროს ბარათაშვილი დაყრდნობილია სმენაზე და მუსიკალური სიზუსტით მიხვდა ფრაზის ძალას. მაგრამ სიტყვის კულტურამ როდი აიყვანა ბარათაშვილი დიდების პიედესტალზე! მისი ძალა, როგორც ლეგენდარული გმირის ანთეოსისა, იმაში იყო, რომ იგი გონებით ებჯინებოდა თავისი დროის იდეებსა და პრინციპებს. ნიკოლოზ ბარათაშვილმა „ჩვენს აზრს, ჩვენს გულთათქმას, ჩვენს ჭკუა-გონებას დიდი განი და სიღრმე მისცა, კაცობრიობის წყურვილს ქართველიც თანამოზიარედ გაუხადა, კაცობრიულ წყურვილის მოსაკლავ წყაროს ქართველიც დააწაფა... მისი გულთათქმანი, მისი გრძნობანი, მისნი ჭირნი და მწუხარებანი უფრო საყოველთაო, საკაცობრიონი არიან, ვიდრე კერძონი... მისი კენესა კაცობრიობის კენესაა, მისი ჩივილი კაცობრიობის ჩივილია, მისი ვერ მიწვდენა სურვილისა-კაცობრიობის უღონობაა“... (ილია ჭავჭავაძე).

მართლაც ბარათაშვილმა თავის შემოქმედებაში ეპოქის იდეები ისეთ მხატვრულ სიმალლეზე აიყვანა, რომ ისინი გადააქცია ზოგად კაცობრიულ იდეებად. მგოსნის მწუხარე სული ველარ დაეტია ნაციონალური კოლორიტით შეფერილ ჩარჩოში და განზე გასწია ზგი. გასვლა-ნაციონალური ფარგლიდან ბარათაშვილის, როგორც მგოსნის, სიდიადის პირველი ნიშანი იყო. 16 წლის პოეტმა დასწერა „შემოღამება მთაწმინდაზედ“. ეს რალაც დაუჯერებელი ამბავია, მაგრამ ფაქტია და არ შეგვიძლიან არ განვცვიფრდეთ ამ ფაქტის წინაშე.

„მთაო ცხოველო, ხან მცინარო, ხან ცრემლიანო,  
ვინ მოგიხილოს, რომელ მყისვე თვისთა ფიქრთ შვეება  
არა იპოვნოს და არ დაჰხსნას გულისა ვაება,  
გულ-დახურულთა მეგობარო, მთავ ღრუბლიანო!“



ბაირონიც ქალაქის ნანგრევებს სთვლიდა „გულდახურულთა მეგობრად“, „მაგრამ მათ ფიქრთა შორის“ არსებითი განსხვავება იყო სამშობლოდან განდევნილ ბაირონს—ვერც რომის ნანგრევებმა და ვერც ათინელთა ბარიკადებმა ვერ დაუამეს გულის ჭრილობა. ბაირონის მეზობლი სული ვერ ნახულობდა მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალ გზას. სულ სხვა გზით ვიდოდა ბარათაშვილის, ამ ქართველი ბაირონის, მწუხარე სული; იგი ყოველ ლექსს ამთავრებს უდიდესი ოპტიმისტური გრძნობით. თვით ყრმობის ლექსშიც კი, რომელშიც ყველაზე მეტი იყო უნუგეშო მდგომარეობით გამოწვეული ტკივილები, მოსჩანს რეალური ქვეყნის სიყვარული.

„ჰოი საღამო, მყუდრო, საამო,“ შენ დამშთი ჩემდა სასუგეშებლად, როს მჭუნვარება შემომქესევის, შენდა მოვილტვი განსაქარვებლად. მწუხრი გულისა — სევდა გულისა — ნუგეშსა ამას შენგან მიიღებს, რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველ ბინდსა ის განანათლებს“.

ჰასაკის დამწიფებასთან ერთად, მწიფდებოდა ბარათაშვილის პოეტური ხმა: მართალია ყრმობის ილუზიები თანდათან იმსხვრეოდა საკუთარი დიდების თაღებ ქვეშ, მაგრამ ხმა იდუმალი ახალგაზრდა პოეტს ჩაძახოდა ყურში:

„ეძიე, ყმაო, შენ მხვედრი შენი,  
ვინძლო იპოვო შენი საშენი!“

მაგრამ პოეტის უნდო გულს ეჭვი ეპარება იდუმალი ხმის ჭეშმარიტებაში.

„ნუ თუ ხმა ესე არს ხმა დევნისა, შეუწყალისა სინიღისისა“...

პოეტი მაინც არ ჰკარგავდა მომავლის იმედს, რადგანაც „ჩემში ვერც ვპოვებ ავსა, მის საშფოთველოს და საქენჯნავსა.“ ბოლოს ახალგაზრდა მგოსანი ბრძანების კილოთი მიმართავს იდუმალ ხმას:

„ანგელოზი ხარ, მფარველი ჩემი,  
ან თუ ეშმაკი, მაცდური ჩემი,  
ვინცა ხარ, მარქვი, რას მომისწავებ?  
სიცოცხლეს ჩემსას რას განუმზადებ?  
როს ვჰსცნა მე შენი საიდუმლობა,  
როს მხვდეს ამ სოფლად ჩემი წილობა“...

ხმა იდუმალი თავისკენ უხმოდა პოეტს; იგი პიჩრდებოდა დიდებულს, მაგრამ მგოსანს თავიდან მაინც ვერ მოუშორებია მწუხარე განცდა. რეალური ცხოვრება ბორკავდა თავისუფლების მოყვარულს.

მალალი მიზნებითა და დიდი იდეებით ანთებულ ბარათაშვილს პოეტურ სულს.

ლექსში „ფიქრნი მტკვრის პირად“ პოეტი ერთხელ კიდევ შეე-  
ბრძოლა საკუთარ უიღბლო ბედს. ამ დიდებულ ლექსში პლასტიური  
ფერებით დახატულია მტკვრის ჭარემო და სუბიექტიური განცდა  
პოეტისა, იგი მტკვართან მივიდა „განსასვენებლად“ და „სევდიან  
ფიქრთა გასართველად“, მაგრამ რაც უფრო მეტად აკვირდება ბარათა-  
შვილი მტკვრის მდინარებას, იმდენად გრძნობს „ცხოვრების  
ამაოებას“.

„ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი?  
მრავალ დროების მოწამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი!...  
არ ვიცი ამ დროს ჩემს წინაშე, ჩვენი ცხოვრება  
რად იყო ფუჭი და მხოლოდა ამაოება?“..

ნიკოლოზ ბარათაშვილმა ამ ლექსში ახალი ძალით გვაგრძნო-  
ბინა. იმ ადამიანის სევდა, რომელსაც მიზეზი აქვს ძიებისა, ეძიებს  
და ვერ უპოვია. პოეტი გრძნობს, თუ როგორ დაჰკარგა თავისი მიმ-  
ზიდველობა ცხოვრებამ და როგორ გადაიქცა იგი ამაოებად. აქ არის  
სათავე ბარათაშვილის სასოწარკვეთილებისა და ყველაფრის უარყო-  
ფისა. „შავად მღელვარე“ ფიქრები აწვალებენ მგონის სულს.  
ბაირონისა და ლეოპარდის მსგავსად—იგი მზადაა ქვეყნის უარყო-  
ფისათვის, მაგრამ ბარათაშვილი გენიალური ადამიანი იყო და არ შეე-  
ძლო უარი ეთქვა ქვემაროც ცხოვრებაზე, საქვეყნო მოვალეობაზე.

„მაგრამ რადგანაც კაცნი გვექვიან-შვილნი სოფლისა,  
უნდა კიდევცა მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა,  
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,  
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იწრუნვოს!“

ეს ოთხი სტრიქონი ზასალებია ნიკოლოზ ბარათაშვილის მთელი  
შემოქმედებისა. ბარათაშვილი რუსთაველის ნაშიერი იყო და არ  
შეეძლო უარი ეთქვა რეალურ ქვეყანაზე. მიუხედავად იმ დიდი  
სულიერო ტკივილებისა, რომელსაც რეალური ცხოვრება იწვევდა  
რუსთაველში, იგი მაინც ამბობდა:

„საწუთრო კაცსა ყოველსა, ვითა ტაროსი უხდების:  
ზოგჯერ მზეა და ოდესმე ცა რისხვით მოუქუხდების.  
აქამდის ჭირი ჩემზედა აწ ესე ლხინად უხდების,  
რადგან შეება აქვს სოფელსა, თვით რად ვინ შეუწუხდების“.

ცხოვრების მიღებას ბარათაშვილისთვის იმდენად აქვეს აზრი და უამართლება, რამდენადაც თვითონ ადამიანი „შვილია სოფლისა“ და შისდევს „მის ხმას“, მაგრამ ეს არაა პასიური მიღება სამყაროსი. ბარათაშვილი მკაცრად დასცინის იმ ადამიანს, რომელიც ცოცხალი მკვდარს ემსგავსება და სოფლისთვის არ ზრუნავს. რეალური ქვეყნის მხოლოდ ამგვარ მიღებას აქვეს აზრი და გამართლება. ბარათაშვილმა საუცხოვოდ გვაგრძნობინა იმ ადამიანის არარობა, რომელიც სუბიექტიურად საკუთარ „მეს“ აყენებს ადამიანურ საზოგადოებაზე მაღლა და კმაყოფილდება საწუთროს მხოლოდ მიუღიღური ჭკრეტით. ასეთ ადამიანს ბარათაშვილი მკვდარს ადაჩქებს. რუსთაველის მსგავსად, ბარათაშვილი რეალური ცხოვრების მკაცრი კრიტიკით, გვაძლევს ნათელ წარმოდგენას, ჭეშმარიტს, ნამდვილს ცხოვრებაზე. ამ დებულებას ბრწყინვალედ ადასტურებს „მერანი“. ეს ლექსი დღემდე ქართულ ლიტერატურაში ინარჩუნებს ნორმისა და მიუწოდომლობის ნიმუშის სახეს. პოეტური აზრისა და მხატვრული ფრაზის მონოლიტური მთლიანობა ჰქმნის პოეტური კულტურის შედეგს. რუსთაველის შემდეგ მხოლოდ ნიკოლოზ ბარათაშვილმა გვაგრძნობინა ქართული ფრაზის ელვარება მთელი თავისი სიდიადით. მერანში ისმის ავთანდილის ანდერძის ხმა—მოიგონეთ ის ადგილი, სადაც ავთანდილი ამბობს:

„თუ საწუთრომან დამამხოს, ყოველთა დამამხობელმან,  
ლარიბი მოგკვდე ლარიბად, ვერ დამიტიროს მშობელმან,  
ველარ შემსუდრონ დაზრდილთა და ვერცა მისანდობელმან,  
მუნ შემიწყალოს თქვენმაცე გულმან მოწყალებმ ღმობელმან.“

ამ ხმის გამოძახილია ბარათაშვილის ჭეშმარიტად გენიალური სტრიქონები:

„ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის;  
ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის,  
შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდელითა შორის ტიალის მინდვრის;  
და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა ზარით, ღრიალით მიწას მამა-  
ყრის!“

მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ლირიკული ლექსებიდან, რომლებიც კი გამოჩენილ პოეტებს დაუწევიათ, ბარათაშვილის „მერანს“ მხოლოდ ედგარ პოს „ყორანი“, პუშკინის „19 ოქტომბერი“ და ბაირონის ზოგიერთი ლირიკული ლექსი თუ შეედრება.



რიტმი ლექსისა—აქ რაღაც ქარიშხლისებური ხმაურით, ისმის. თვი-  
თეულ ფრაზას დიდი სიზუსტით მოძებნილი აქვს თავისი ადგილი.  
სიტყვათა შორის. ყოველი მიმყოლი სიტყვა რიტმიულად აძლიერებს  
თვითეულ სტრიქონს და ქმნის ერთ მთლიან პოეტურ ჰარმონიას. ამ  
ლექსში ეპოქის იდეებთან შეერთდა ბარათაშვილის მხატვრულად  
გაწოთვნილი გენია. შავად მღელვარე ფიქრები აქ ენას იღვამენ,  
მათი ხმა ყურს ესმის. „მერანში“ ბარათაშვილის პოეტური ენა  
ელვავა, იგი ისევე ბრწყინავს, როგორც ელვარე ხმალი. პოეტის გე-  
ნია აქ ერთხელ კიდევ მძაფრად შეეჭიდა ბარათაშვილის უიღბლო  
ბედს, შავი ყორანის შავბედით ჩხავილს და განწირულის სულის—  
კვეთებას. ამ ბრძოლაში დიდებულმა მგოსანმა შთაბრძნავლობას  
რაინდული ხმით გადასძახა:

„ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის ეს განწირულის სულის კვეთება!  
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება,  
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს,  
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავი ბედის წინ გამოუქროლდეს!“

ასეთი იყო მგოსნის სურვილი. მწუხარე დრომ აიძულა პოეტო-  
დასდგომოდა სახიფათო გზას; იგი ადამიანური ცხოვრებას ეძებდა,  
მაგრამ შავბედითი ყორანი ამ ძიებაში სიკვდილის აჩრდილივით და-  
სტრიალებდა თავს. მართლაც გზების ძიებაში დაიღუპა 27 წლის ჭა-  
ბუკი. პოეტის დედა შემდეგი სიტყვებით აუწყებდა ქართველ ხალხს  
ამ უდიდეს დანაკლისს: „მე უბედური უბედურად ქმნილი, მოვაკლდი  
ჩემს სიხარულს შვილს და რა შვილს, რომლისაგანაც მოველოდი  
ყოველ სიხარულს. ვუი და ვაი ჩემს მოსწრებას, ჩემი თვალების და-  
ბნელებას“. ეს სიტყვები მთელი ქართველი ხალხის გულსთქმა იყო.

\*

\* \*

იმ ეპოქაში სადაც უხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა ნიკო-  
ლოზ ბარათაშვილს, ერთ-ერთ უდიდეს პრობლემას წარმოადგენდა  
ეროვნული საკითხი. 1832 წლის შეთქმულების დამარცხებამ ათეული  
წლებით გადასწყვიტა საქართველოს ბედი. მაგრამ მოწინავე ნაწილს  
ყოველთვის აწუხებდა ის მწვავე კითხვები, რომლებიც თავს იყრი-  
დნენ საციონალურ პრობლემის გარშემო. 21 წლის ახალგაზრდა პო-  
ეტმა გენიალური ინტუიციით იგრძნო ეპოქის მაჯისცემა და მხა-  
ტვრული ხილვით შესძლო დიდი ეროვნული პრობლემის ისტორი-  
ული თვალსაზრისით გადაწყვეტა. ჩვენს წინაშე სდგას ორი დიდი  
პიროვნება — პატარა კახი და სოლომონ ლეონიძე. ეს ორი ადა-



მიანი ბარათაშვილის მიერ გამოკვეთილია მთელი მხატვრული სიძლიერით. ორივე ადამიანი სრულყოფილად გამოხატავს ერთი-მეორისადმი მოწინაღმდეგე საზოგადოებრივ თვალსაზრისს. პოემა „ბედი ქართლისა“ პოლიტიკური ორიენტაციის საკითხს ეხება. ამ საკითხის ორგვლივ იწყება კონფლიქტების მთელი წყება. თანასწორი სიძლიერით უპირისპირდება ერთი-მეორეს ორი დიდი ისტორიული პიროვნება. ჩა გინდ მკაცრად ზრ უნდა შეაფასოს ისტორიკოსმა ერეკლე მეორის პოლიტიკურად გაბედული ნაბიჯი, ერთი მაინც ცხადი იყო; მღვდემ აღასრულა ისტორიის კარნახი; მან, როგორც დიდმა ისტორიულმა პიროვნებამ, სისრულეში მოიყვანა ისტორიის მიერ „ქართლის ბედზედ“ გამოტანილი განაჩენი. განა ერეკლე მეორეს სოლომონ ლეონიძეზე ნაკლებად უყვარდა ქართველი ხალხი? განა მოხუცი მეფის გადაწყვეტილებაში არის რაიმე სუბიექტიური სურვილის თავზემოხვევა ერისადმი? არა. მოხუც მეფეს მხოლოდ ერთი უპირატესობა აქვს სოლომონ ლეონიძესთან შედარებით; იგი მკაცრ გონებას და რეალურ სინამდვილეს უფრო უწევს ანგარიშს, ფიქრს, იდეალურ, ფანტასტიურ გეგმებს. ამას თავითონ სოლომონ ლეონიძეც გრძნობს:

„იქნება, მეფე ციხის გატეხას  
აბრალებს მოყმეთ მუხანათობას?  
იქნება ამან აჰყარა გული,  
ბატონს ქართლზედა, შეუორგული?...  
მაგრამ ირაკლიმ უკეთეს უწყის,  
თუ ვით საყვარელ არს ქართველთ შორის.  
მაშ რამ შეშფოთნა მას ჭული მყარი,  
ქართველებისთვის ესთ თანამკვდარი?...  
მაგრამ ვინ იცის! იგი იქნება  
უკეთ ჰფიქრობდეს, რაც გვეჭირება:  
ბევრ-ჯერ ღვთიურსა ზრუნვასა მეფის  
გონება ყმათა ვერა მიხვდების!“

მაგრამ ბარათაშვილი გენიოსი იყო და არ შეეძლო იმ ტკივილებსადმი გვერდის ავლა, რომელიც გამოიწვია მეფის მიერ ისტორიის მკაცრი განაჩენის სისრულეში მოყვანამ. სოფლის პირით პოემაში პოეტი ამ ტკივილებს გადმოგვცემს მთელი თავისი პოლიტიკური სიმძაფრითა და მხატვრული სიდიადით.

„უწინამც დღე კი დამელევა მე.  
უცხოობაში რაა სიამე,

სადაცა ვერვის იკარებს სულს  
და არს უთვისო დაობლებული?  
რა ხელს ჰყრის პატივს ნაზი ბუღბული,  
გალიაშია დატყვევებული;  
და ველად იგი, ამხანაგთ შორის,  
ჭირსაც, ვით ლხინსა ერთგვარ დამღერის!  
ესრეთ რას არგებს კაცსაც დიდება,  
თუ მოაკლდება თავისუფლება?“

ამ სიტყვებში დამარხული იყო ის დიდი ტკივილი ქართველი ხალხისა, რომელსაც რუსეთის თვითმპყრობელობის ჩექმის ქვეშ განიცდიდა: „ჩვენი ცხოვრებაო,—სწერდა ბარათაშვილი მაიკო ორბელიანს,—სწორე ვითხრა ტანჯვისა და უსიამოვნების მეტი არა არის რა“. ეს მკაცრი შეფასება სავსებით ზუსტად გამიხატავდა ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქას.

წმინდა ლიტერატურული თვალსაზრისით პოემამ — „ბედი ქართლისა“ უდიდესი სტიმული მისცა მთელი მე-19 საუკუნის ეპიურ პოეზიას.

ასეთი იყო ზოგადად ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური სახე-ჩვენ მხოლოდ ამ სახის ზოგაერთი კონტურები მოვხაზეთ.

მართალია ნიკოლოზ ბარათაშვილი პუშკინისა და ლერმონტოვის მსგავსად დუელში არ დაღუპულა თვითმპყრობელობის ხელით, მაგრამ საკუთარი სულიერის ძალების გაფურჩქვნის მიჯნაზე — ბარათაშვილი დაღუპა იმავე მკაცრმა სინამდვილემ.

წავიდნენ დრონი... ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ დაღწა ყველა ბორკილი, რომელიც ხელ-ფეხს უკრავდა ხალხს თავისუფლების დიდ შარავნაზე, გამოსვლაში. ოდესღაც მონობისა და ბატონობის რუსეთი რევოლუციამ თავისუფლებისა და ჰუმანიზმის ქვეყნად აქცია. ლენინ-სტალინის დიდი იდეები დაეფულა ადამიანთა შემოქმედების ყველა სფეროს. პატარა ერები — ხალხთა სტალინური მეგობრობის დროშის ქვეშ სახელოვან დიდ რუს ხალხთან ერთად დარაზმულნი, ლენინ-სტალინის სახელოვანი და უძლეველი პარტიის ხელმძღვანელობით ქმნიან ჩვენი დიდი სამშობლოს ძლიერებას. მხოლოდ დიად სტალინურ ეპოქაში მოხდა წამდვილი დაფასება ყველა იმ დიდი მოწინავე და პროგრესიული სახელისა, რომელიც კი წარსულში შეუქმნია კაცობრიობას. მხატვრული სიტყვის ოსტატები, რომელთაც თავიანთი წვლილი შეუტანიათ კულტურის საგანძურში, უსაზღვრო სიყვარულით სარგებლობენ ჩვენს ქვეყანაში. პუშკინის,

გოეთეს, ტოლსტოის, რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის იუბილეები სა-  
ბჭოთა კავშირის ხალხთა ნამდვილი ზეიში იყო. მხოლოდ სოციალი-  
სტური კულტურა აჩიხს ნამდვილი შემეგვიდრე სახელოვანი წინა-  
პრების მიერ შექმნილი კულტურისა. ამ წინაპართა შორის ერთ-ერთი  
საპატიო ადგილი ნიკოლოზ ბარათაშვილს უჭირავს.

მთელი საუკუნე გვაშორებს ჩვენ ბარათაშვილს. მსგრამ დიდუ-  
ბული პოეტის ხმა ჩვენს ეპოქაში ახალი ძალით ისმის; იგი მარად  
ბრუნდება თავისუფალი და უძლევი ხალხის გულში.

# ბიბლიოგრაფია

НИКОЛОЗ БАРАТАШВИЛИ: СТИХОТВОРЕНИЯ. Москва. 1938 год.

(ნიკოლოზ ბარათაშვილი: ლექსები. მოსკოვი, 1938 წ.).

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების კრებულის რუსულად გამოცემა უსათუოდ ღირსშესანიშნავი მოვლენაა. რევოლუციამდე ამ ქართველი რომანტიკოსის ლირიკას რუსი მკითხველი ეცნობოდა მხოლოდ პრესის ფურცლებზე ან ცალკე კრებულებში, სადაც სხვა ქართველი მწერლების ლექსებიც იყო მოთავსებული (მაგ. ტხორჟევსკის თარგმანების წიგნში). თავისთავად ცხადია, თუ რადიდი მნიშვნელობა აქვს სარეცენზიო წიგნს, როგორც პირველს, შედარებით სრულს კრებულს ნ. ბარათაშვილის ლექსებისას რუსულ ენაზე.

სამწუხაროდ ეს გამოცემა ვერ დგას იმ სიმაღლეზე, რომელიც „ქართველ ბაირონს“ შეეფერება. არც თარგმანების საერთო ხარისხი, არც შენიშვნები არ ამჟღავნებენ იმ დიდს პასუხისმგებლობას, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელათ მთარგმნელებსა და მის რედაქტორს.

ჯერ ერთი: თარგმანების უმრავლესობა ვერ გადმოგვცემს ბარათაშვილის ინტონაციას, რიტმსა და თავისებურად არქაიზირებულ მეტყველებას. მთელ რიგს ლექსებში შეცვლილია აგრეთვე ავტორის საერთო ტონი.

მაგრამ თარგმანების განსაკუთრებული ნაკლი ისაა, რომ შათში საკმაოდ ა ტექსტის ცუდად გაგების შემთხვევები. დავკმაყოფილდეთ ორი მაგალითით:

ლექსში „ღამე ყაბახზე“ არის შემდეგი ადგილი:

„ჰსთქვი რამ, ეტყვიან ყაფლანს ზოგნი ერთნი ქალები,  
თუნდ თ ა ვ ს ა უ ფ ლ ა დ: ახლა პრანქვას ნუკი მოჰყვები“.

„თ ა ვ ს ა უ ფ ლ ა დ“ — ალ. ჭავჭავაძის საკმაოდ ცნობილი ლექსია. ეტყობა სიტყვისიტყვით მთარგმნელს ეს არ სცოდნია. სპასსკის თარგმანში მოყვანილი ტაეპი შემდეგნაირად გამოიყურება:

Ты бы спел нам! так сказали дружно девушки Каплану,  
Не ломайся, будь послушен. — Я жеманничать не стану.

აქ დაკარგულია ტექსტის მნიშვნელოვანი დეტალი: ყაფლანს სთხოვენ ალ. ჭავჭავაძის ლექსის სიმღერას. გარდა ამისა, ქალების მიმართვას ყაფლანისადმი — „ახლა პრანქვას ნუკი მოჰყვები!“ თარგმანში საწინააღმდეგო შინაარსით ლაპარაკობს თვითონ ყაფლანი.

მეორე მაგალითი (ლექსიდან — „აღმოხდა მნათი“):

„მეცა ხელი ვჰყო დაუანგებულს ჩემსა სანთურსა  
და შევეართო ფიქრნი ჩემნი შენს ხმას ციურსა“.

თარგმანი:

Чтоб мой ржавый светильник снова стал бы лучистим,  
Чтобы мысли своим я слил бы голосом чистым.



„სანთური“ (საკრავის სახელია, ა. გ.) მთარგმნელს (?) გაუგია „Светиль-  
ник“-ად, რაიც სავსებით სცვლის ტაეპის აზრს.

გაუგებარია რით ხელმძღვანელობდა რედაქტორი, როცა მას „მერანის“  
თარგმანებს შორის შედარებით სუსტი აურჩევია (შეიძლებოდა უკეთესი თარ-  
გმანის გამოძებნა). გაუგებარია აგრეთვე სათაურების შეკვეცის შემთხვევები.  
მაგალითად, სათაური „კნიაზ ბარათაევის აზარდუშაზედ“ თარგმანში შე-  
კვეცილია ასე — „Надпись на азарпеше“. ბარათაევი ამოგდებულია ავ-  
რეთვე ლექსის „На могиле царя Ираклия“-ს ქვეშ. ამგვარად პირველი ლექსი  
უადრესატოდ არის დატოვებული, მეორე კი — მიძღვნის გარეშე.

ბარათაევს დიდი დამსახურება მიუძღვის საქართველოს ისტორიის შეს-  
წავლის საქმეში და ნ. ბარათაშვილის კარგი დამოკიდებულება მისი სახელი-  
სადმი სრულიადაც არ იყო შემთხვევითი. საჭირო იყო რედაქტორიც ყურად-  
ღებით მოპყრობოდა მას, მით უმეტეს, რომ ბარათაევის საუკეთესო შრომე-  
ბი (მაგალითად — ნუმიზმატიკიდან) რუსულად არის გამოქვეყნებული.

კარგს თარგმანებს შორის აღსანიშნავია „ნაპოლეონი“ (თარგ. ანტო-  
კოლსკისა), სპასკისა და დერჟავინის ზოგიერთი თარგმანები. შედარებით კარგს  
შთაბეჭდილებას სტოვებს აგრეთვე „ჩემი ლოცვა“ (მთარგმნელი ვერხოვსკი).  
აგრეთვე კარგადაა თარგმნილი პოეტ ვ. გაფრინდაშვილის მიერ პოემა „ბედი  
ქართლისა“.

ნ. ბარათაშვილის ლექსების თარგმანებს დართული აქვს ვ. გ. შენიშვნები.  
ამ შენიშვნებში ავტორი არაა დაზღვეული ზოგიერთი შეცდომებისაგან.

შენიშვნების ავტორი გვამცნობს:

„— Сардали, Давид (Давид Зангезурский)—выдающийся армя-  
нский полководец раннего средневековья“.

ნამდვილად კი ნ. ბარათაშვილი გულისხმობს დავით ორბელიანს, მე-18  
საუკუნის გამოჩენილ ქართველ სარდალს, ასპინძის გმირს. ნ. ბარათაშვილს არ  
შეეძლო „საშუალო საუკუნეების სომეხთა მხედართმთავრის“ ხსენება ერეკლე  
მეორის სახელთან დაკავშირებით.

შენიშვნებში (იხ. გვ. 82) სოლომონ ლეონიძის გარდაცვალების თარიღად  
დასახელებულია 1810 წელი. უნდა იყოს — 1811 წ. ასეთი „წვრილმანები“  
საკმაოდ მოიპოვება.

ამხ. გოლცევისავე შედგენილ ნ. ბარათაშვილის მოკლე ბიოგრაფიაში ვკით-  
ხულობთ (გვ. 76).

„31 октября 1842 года он (ბარათაშვილი, ა. გ.) писал сестре — Манко  
Орбеллиани“...

ნ. ბარათაშვილს ბევრი და ჰყავდა. შენიშვნების ავტორის აღმოჩენით მას  
კიდევ ერთი ზედმეტი (მეცხრე) და ჰყოლია, და ისიც მაიკო ორბელიანი, რაც  
სიმართლეს არ შეიცავს.

წიგნი ტექნიკურად კარგადაა გამოცემული. თარგმანებს წინ უძღვის  
გ ე რ ო ტ ი ქ ი ქ ო ძ ი ს მოკლე წინასიტყვაობა.

ა. გ.